

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

**Student Journal of Social Sciences**

№13, ივლისი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2020

E ISSN: 2449-3066

## **სარედაქციო კოლეგია:**

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

სალომე ნამიჭიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

## **ტექნიკური ჯგუფი:**

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ბაჩო ბითარი ხუროშვილი. მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობა და სახელმწიფოს პოლიტიკა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში ბაჩო----- 3
2. მარიამ ნიგურანი, თეკლა აბჯანდაძე. 2003 წლის ერაყის ინტერვენციის ძირითადი მიზეზები და 9/11-ის ტერორისტული აქტის როლი მის მიმდინარეობაში-----24
3. ვასიკო ხორავა, ილია რურუა. ჩინეთი-აშშ-ს სავაჭრო ომი: გამომწვევი მიზეზები და არსებული შედეგები-----40



**მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობა და სახელმწიფოს პოლიტიკა  
საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში**

**ბაჩო ბითარი ხუროშვილი**

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: [B.khuroshvili@gmail.com](mailto:B.khuroshvili@gmail.com)

## აბსტრაქტი

ეფექტური, ეფექტიანი და ლიბერლ-დემოკრატიული განათლების პოლიტიკა, ადმინისტრირება და კარგი მმართველობის მქონე სისტემა, წარმატებული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია. კანონის უზენაესობა, მისი აღსრულება და გამართულობა კი, განათლების ჭრილში ახალგაზრდების წინსვლასა და რეალიზებას უზრუნველყოფს. სახელმწიფო ზოგადი განათლების სფეროში მის მიზნებს კანონის დონეზე დეკლარირებს ისეთი პრინციპებით, როგორებიცაა : სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ურთიერთმიმდებლობა და პატივისცემა, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება, ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა, უმცირესობათა უფლებების დაცვა, მოსწავლეთა ჭეშმარიტი ინტერესების დაკმაყოფილება და სხვა. თუმცა, მეორეა, როგორ ხორციელდება ამავე სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკის მიზნებისაკენ სწრაფვა? ან ხორციელდება თუ არა რეალობაში თავად მიზნები? ექსპერტები მიუთითებენ ამავე მიზნების ამბიციურობაზე და ცხადყოფენ სისტემაში არსებულ პრობლემებს მოსწავლეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის საკითხებში. კვლევის თანახმად, დღეს მოსწავლეთა 78,4 % თვლის, რომ უმცირესობათა უფლებები სკოლაში სრულიად არ არის დაცული, ხოლო მათი 72,6% გამხდარა სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი. გამოკითხულთა მხოლოდ 4% ამბობს, რომ ზოგადი განათლების სისტემა სრულიად არის დამყარებული ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე. რესპოდენტთა 51,8% შეხვედრია სკოლაში რელიგიურ პროპაგანდას. ამასთან ერთად, კვლევამ ცხადყო, რომ მათი 80,2% პირადად შესწრებია მოსწავლის დისკრიმინაციის შემთხვევას. აქვე ყურადსაღებია, რომ კვლევის შედეგად გამოვლინდა მოსწავლეთა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემა ზოგადი განათლების სისტემაში, რაც მათ აკადემიურ შედეგებზეც აისახება. ამის ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გარკვეული ქმედითი ნაბიჯები გადადგა, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანი სტრატეგია ჯერ კიდევ არ შემუშავებულია.

**საკვანძო სიტყვები:** განათლების პოლიტიკა, ზოგადი განათლების სისტემა, მოსწავლეთა უფლებები, უმცირესობათა პოლიტიკა, პოლიტიკის დეკლარირება, იმპლემენტაცია.

## შესავალი

წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს ფუნდამენტს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 27, 1995) თუმცა ცალკეა ის ფაქტი, როგორია განათლების უზრუნველყოფის მექანიზმები და თავად საგანმანათლებლო გარემო? განათლების როგორ სისტემას გვთავაზობს თავად სახელმწიფო? როგორ მოქალაქედ უნდა აღზარდოს მოსწავლე თავად სისტემამ და რა ფორმით/საშუალებებით უნდა აღიზარდოს ის?

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ცხადყოფს, რომ განათლების მიზანია ადამიანის სრული განვითარება, მისი უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის გამყარება და ამ მხრივ, განათლების პოლიტიკის მიზანია ტოლერანტობის, მეგობრული ურთიერთობების განვითარება სხვადასხვა ერს, ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 26.2, 1948). თუმცა, აქვე საინტერესოა ისიც, თუ რა ხდება საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში ამ მიმართულებით და არის თუ არა უზრუნველყოფილი მოსწავლეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლება?

აღსანიშნავია, რომ განათლების სისტემის ბირთვისა და უმნიშვნელოვანეს კომპონენტს თავად მოსწავლე წარმოადგენს. ქართული რეალობიდან გამომდინარე კი, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობისა და ზოგადი განათლების პოლიტიკის საკითხები აქტუალობასა და პრობლემატურობას არ კარგავს, რაზეც მოწმობს ბოლო დროინდელი კვლევები და ფაქტები, კერძოდ, 2018 წლის სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა

აკადემიის მასშტაბური „კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში“, ასევე 2019 წლის 6-20 დეკემბერს NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევა საჯარო სკოლების როლის, ფუნქციონირების, უფლებრივი მდგომარეობისა და განათლების ხარისხის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ მანდატურის სამსახურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2018-2019 სასწავლო წლებში საჯარო სკოლებში დაფიქსირებულია მოსწავლეებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის 2580 ფაქტი, თუმცა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მანდატურის სამსახური 2019 წლის მონაცემებით, მხოლოდ 486 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებდა, რაც საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხოლოდ 23%-ს შეადგენდა. მეორე საკითხი კი აქ ისაა, რამდენად ხელმისაწვდომი იყო და არის მანდატურის სამსახურისათვის ყველა ფორმის ძალადობისა თუ ბულინგის შემთხვევის აღრიცხვის შესაძლებლობა (საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქართველოს რეფორმების ასოციაციის წერილი, 2019)?

უკვე ნახსენები ფაქტები და გარემოებები მიუთითებს ზოგადი განათლების სფეროში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობით დაინტერესებაზე და მოწმობს ამავე საკითხის პოლიტიკის დღის წესრიგში წამოწევის მცდელობას. უფლებრივი თანასწორობა საგანმანათლებლო შედეგებში არის გადამწყვეტი ფაქტორი შესაძლებლობათა თანასწორობის მიღწევისა და ამ ღირებულებების თაობათაშორისი გადაცემისა, რომელსაც საზოგადოება აღწევს (Schütz & Ursprung, 2008). ზოგადად, მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად და ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკის შესაფასებლად მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა, რომელიც, ნაშრომის მიხედვით, მოიცავს, ერთი მხრივ, ინფორმაციის მიღებას თავად მოსწავლეებისაგან მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, მეორე მხრივ, მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლას დოკუმენტებისა და უკვე არსებული კვლევების საფუძველზე, შემდგომში კი ამავე საკითხების შეფასებას ექსპერტებისაგან.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიღებული შედეგები შევადაროთ თავად ზოგადი განათლების რეგულირების ჩარჩოს შესაბამის ნაწილებს. ინსტიტუციონალური დიზაინის შემადგენელი კომპონენტი ხომ თავად კანონია, ამ კუთხით კი, კარგი მიგნებაა ვიკვლიოთ და დავინახოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს საქართველოს კანონი “ზოგადი განათლების შესახებ”. ის ზოგადი განათლების სისტემისათვის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელს წარმოადგენს, რადგან ეს კანონი ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები, სკოლის მართვა, მისი ფუნქციონირება და სხვა. სწორედ ამიტომ, კვლევის პირველი მიზანია მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, შემდგომში მისი შესაბამისობა საქართველოს კანონთან “ზოგადი განათლების შესახებ,” ხოლო, კვლევის მეორე მიზანია, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლა და ურთიერთმიმართების დადგენა განხორციელებულ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ დიზაინს შორის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ამოცანების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია რეგულაციების შესწავლა საქართველოს კანონში “ზოგადი განათლების შესახებ” და აღნიშნულ დოკუმენტში დეკლარირებული პოლიტიკის განხორციელების შეფასება. ამის გათვალისწინებით საკვლევი კითხვები მდგომარეობს შემდეგში: რამდენად ირღვევა, მოსწავლეთა აზრით, მათი უფლებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში? როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა მოსწავლეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის საკითხებში? ჰიპოთეზები კი ასე ჩამოყალიბდა: მოსწავლეთა აზრით, მათი უფლებები მნიშვნელოვნად ირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; სახელმწიფოს პოლიტიკა საქართველოს კანონში “ზოგადი განათლების შესახებ” ეფუძნება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს, თუმცა მასში არსებული დეკლარირებული პოლიტიკის მიზნების იმპლემენტაცია არავალიდურია.

შესამჩნევია, რომ უკვე ნახსენები კანონი ღირებულებით დონეზე ეფუძნება ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებს, რაზეც მოწმობს ამავე კანონის მუხლი 3, რომლის მიხედვითაც განათლების პოლიტიკის ძირითადი მიზანია მოსწავლის

უნარ-ჩვევების განვითარება და მისი აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება (კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 3, 2005). თუმცა, აქ მეორეა ის გარემოება, რა ტიპის პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო მისი მიზნების მისაღწევად ზოგადი განათლების სფეროში და ეფექტურად ხორციელდება თუ არა ეს და სხვა კონკრეტული მუხლები? ცალსახაა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დეკლარირებული მიზნები განხორციელების დონეზე ხელს შეუწყობს მოსწავლის თავისუფალ გარემოში სწავლის შესაძლებლობას, სადაც მისი უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულად იქნებოდა დაცული.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი პრინციპი სამართლიანი კანონის ეფექტური დეკლარირება და ეფექტიანი იმპლემენტაციაა. განათლების კონტექსტში ურთიერთპატივისცემისა და მიმდებლობის, არჩევანის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დეკლარირება კანონსა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ქმნის სინერგიას, რომელიც აღსრულების დონეზე მოსწავლეთა ჭეშმარიტი ინტერესების დამცველად გვევლინება. (საქართველოს კონსტიტუცია, 1995) (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948) (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005).

განათლების პოლიტიკასა და ადმინისტრირებაში მნიშვნელოვანია სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა. სოციალურ-ეკონომიკური სამართლიანობა კი, თანაბარი შესაძლებლობებისა და ტექნოლოგიური პროგრესის გარანტია, ეს ყოველივე კი, პროპორციულად სახელმწიფოზე აისახება (Rao, 2007).

უფლებრივი თანასწორობის დენატურირება საგანმანათლებლო შედეგებზე მკვეთრად აისახება. უფლებრივი უზრუნველყოფის საკითხები კი, გადამწყვეტი ფაქტორია შესაძლებლობათა თანასწორობის მიღწევისა და ამ ღირებულებების თაობათაშორის გადაცემაში (Schütz & Ursprung, 2008). განათლების სისტემა

მონაწილეობას ეფუძნება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ პოლიტიკისა და სოციალიზაციის ყველა აქტორი, ვალდებული ვართ იმ განათლების უზრუნველყოფაზე, რომელსაც თითოეული თანამოქალაქე იღებს. სწორედ ასეთი მიდგომები, ადაპტირებული მონაწილეობრივი პოლიტიკა იძლევა სისტემის უკეთ ფუნქციონირების საშუალებას (Cox, 2018).

მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განათლების სისტემში გვქონდეს ინფორმაცია არსებულ სიტუაციაზე, პრობლემებსა თუ სტატისტიკაზე. სწორი ინფორმაციის ცოდნა პოლიტიკის მეწარმეებს საშუალებს აძლევს წინ წამოწიონ და პოლიტიკის დღის წესრიგში დააყენონ არსებული საკითხები. ამავე სისტემაში ინფორმაციის არასაკმარისობის პრობლემა ორი ათწლეულია დგას, უტყუარი ინფორმაცია კი ის სტიმულია, რომელიც ბადებს პრევენციასა და პრობლემის აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას (Akiba, 2002) (საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქართველოს რეფორმების ასოციაციის წერილი, 2019).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ პრობლემა ყოველთვის არსებობდა. 2008 წლისათვის მოსწავლეთა 47,1% ფიზიკურ, ხოლო 47,5% ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდა, თუმცა ამ თვალსაზრისით კვლევები ბოლო წლებია თითქმის არ ვითარდება, შესაბამისად, 2008 წლის მონაცემები ვერ იქნება დღევანდელი პრედიქტორი (ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, 2008).

2010 წელს “ECRI” პირდაპირი რეკომენდაციით მოგვმართავდა რელიგიური მრავალფეროვნების აღიარებისა და პატივისცემის შესახებ (ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, 2010). სეკულარიზმის პრობლემისა და არატოლერანტული განწყობების არსებობაზე ნათქვამია ადგილობრივ კვლევებშიც (სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ, სახელმწიფოს როლი 2012-2013 წლებში საქართველოში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების მოგვარებაში, 2013). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გადადგა ქმედითი ნაბიჯები ზოგადი განათლების სფეროს განვითარებისათვის და გაზარდა

თანხები როგორც სისტემაში სუბსიდირების, ისე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ, მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის პრობლემა კვლავ გამოწვევაა (საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქართველოს რეფორმების ასოციაციის წერილი, 2019) (საქართველოს მთავრობის დადგენილება განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ).

ლიტერატურის მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ უფლებრივი მდგომარეობის პრობლემა ნათლად დგას საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ანგარიშები, აღნიშნული პრობლემა პოლიტიკის დღის წესრიგში ვერ მოხვდა. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ნაშრომების ფოკუსი ძირითადად კონცენტრირებულია იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სისტემა. მკვლევრები ხაზს უსვამენ სამართლიანობის, თანასწორობის და კეთილდღეობის პრინციპების მნიშვნელობას ზოგადი განათლების პოლიტიკის სფეროში, თუმცა ნაკლებად ამახვილებენ აქცენტს იმაზე, თუ როგორი რეალობა დგას თავად სისტემაში დღეს. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ადგილობრივი კანონმდებლობა დეკლარირებს ღირებულებით და ზოგად პრინციპებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მცირე კვლევები გვაქვს პოლიტიკის იმპლემენტაციის მიმართულებით და მაინც, რადგან ჩვენ ხელთ გვაქვს ძალადობის შემთხვევათა, უფლებების დარღვევათა და სისტემაში არსებულ სხვა პრობლემათა სტატისტიკა, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ურთიერთმიმართება პოლიტიკის დეკლარირებასა და იმპლემენტაციას შორის, მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებთან ერთად, საჭიროებს დამატებით კვლევებს.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სოციალურ მეცნიერებათა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან, სიღრმისეული საექსპერტო-ინტერვიუ და დოკუმენტების ანალიზი, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან ანკეტირება,

თვითადმინისტრირებადი კითხვარების მეშვეობით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს “კანონი ზოგადი განათლების შესახებ” , გაკეთდა ორი სიღრმისეული საექსპერტო-ინტერვიუ განათლების პოლიტიკის საერთაშორისო ექსპერტთან და ზოგადი განათლების პოლიტიკის ექსპერტთან, ხოლო რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 2019 წლის ოქტომბრის-ნოემბრის თვეებში წინასწარ განსაზღვრული კითხვარის მეშვეობით. რაოდენობრივი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა 16-18 წლის თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომელთა საშუალო ასაკი იყო 17 წელი SD (16.9) . აღნიშნული კვლევისას გამოიკითხა 277 გოგონა და 223 ბიჭი, საერთო ჯამში - 500 ახალგაზრდა. რაოდენობრივი კვლევა ეფუძნება არაალბათურ ხელმისწავდომ შერჩევას, ხოლო მონაცემები დამუშავებულია SPSS-ის მეშვეობით და გამოყენებულია ერთგანზომილებიანი ანალიზი. კვლევაში არ არის დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადი, ვინაიდან აღნიშნული კვლევა აღწერითი , დესკრიპტული ხასიათისაა.

### **საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა**

როდესაც ჩვენ სისტემაზე ვსაუბრობთ აუცილებლად გასააზრებელია, რომ ნებისმიერი სისტემა შედგება ნაწილებისაგან, ნაწილები ქმნიან მთლიანობას და ამ მთლიანობას გააჩნია კონკრეტული საზღვრები. მოზრდილები, პედაგოგები, კანონმდებლები, მშობლები და უწყვეტი შემსწავლელები პასუხისმგებელი ვართ იმაზე, თუ როგორ განათლებას იღებენ ჩვენი თანამოქალაქეები თუ შვილები. ასეთი დამოკიდებულება ქმნის ნებისმიერი სისტემის უკეთ ფუნქციონირების შესაძლებლობას (Cox, 2018). ნებისმიერი კანონი, რომელიც სფეროს პოლიტიკის, მიზნებისა და ხედვების განმსაზღვრელია, აღიქმება, როგორც სისტემის ერთი დიდი შემადგენელი კომპონენტი. საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა რეგულირდება საქართველოს კანონებით: “ზოგადი განათლების შესახებ” და “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ”; მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით . თითოეული კანონი ან სამართლებრივი

აქტი, რომელიც მიღებულია განთლების სფეროს რეგულირების მიმართულებით პირდაპირ აისახება ამავე სფეროს ბენეფიციართა ყოველდღიურ ყოფაზე. საქართველოში სრული ზოგადი განათლება არის სამსაფეხურიანი და საერთო ჯამში მოიცავს სწავლების თორმეტ წელს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტებით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას.

განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალურ-ეკონომიკური სამართლიანობის, თანაბარი შესაძლებლობების და ტექნოლოგიური პროგრესის შექმნაში (Rao, 2007). საქართველოს “კანონი ზოგადი განათლების შესახებ” დეკლარირებს მოსწავლის აღზრდას ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებით. სხვა ყველაფერთან ერთად, მისთვის ამოსავალი წერტილი მოსწავლის თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა და მისი ცოდნით უზრუნველყოფაა.

“ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები ამბიციურია; პოლიტიკის დონეზე ზემოთ აღნიშნული ღირებულებების განვითარების მნიშვნელობა აღიარებულია; თუმცა, ამ მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მოქნილი, ინკლუზიური, ხარისხზე ორიენტირებული სისტემის არსებობა, შესაბამისი რესურსებით. მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული მაგალითები არსებობს, ეს მთელს სისტემაზე ნაკლებად ითქმის. სასწავლო პროცესში დაბრკოლებები იჩენს თავს, როგორცაა სახელმძღვანელოების პრობლემა, მასწავლებლების კვალიფიკაცია, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო ლაბორატორიების ფაქტობრივი არარსებობა, სპორტული დარბაზების მოუწყობლობა და სხვა. ეს არ არის ბოლო პერიოდის პრობლემები, ეს ათწლეულების შედეგია. სისტემის ეფექტურობის შეფასება PISA შედეგებითაც შეიძლება. საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შედეგები 2010 წლიდან 2015 წლამდე, თუმცა PISA 2015 წლის მონაცემების მიხედვით, ყველაზე დაბალი მიღწევა

დაფიქსირდა კითხვაში - 52%, მეცნიერებაში 51% და მათემატიკაში 57%. ამ საკვანძო კომპეტენციებში დაბალი მიღწევა ამ მოსწავლეებს მიჰყვება ცხოვრების განმავლობაში და ზღუდავს მათი პოტენციალის რეალიზებას, იმის მიუხედავად, დატოვებენ თუ არა ისინი განათლებას, ან გააგრძელებენ სწავლას პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიმართულებით. ამ მონაცემების ფონზე, ცხადია უფრო პრობლემური უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი ღირებულებების განვითარება, რაც კვლავ უკავშირდება მასწავლებლების კვალიფიკაციას და საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობას (ექსპერტი 1).

“პოლიტიკური სოციალიზაციის ყველა თეორია, მათ შორის ჰაიმანის თეორია პირდაპირ ამბობს, რომ სახელმწიფოს რა კურსიც აქვს, იმ კურსს წერს განათლებაში. ეროვნულ სასწავლო გეგმაში სიტყვა „ლიბერალური“ არ არის ნახსენები, ხოლო სიტყვა - დემოკრატიული წერია ოცდაერთჯერ, აქედან ოთხჯერ ის გამოყენებულია შინაარსობრივ ნაწილში, რომ დემოკრატია უნდა ასწავლო, რომ მმართველობა დემოკრატიული უნდა იყოს და სხვა, ხოლო ჩვიდმეტ შემთხვევაში, არის უბრალოდ ცნება. საგნების “მე და საზოგადოებისა” და “სამოქალაქო განათლების” სახელმძღვანელოებში სიტყვა „ლიბერალური“ მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, როდესაც საუბარია პოლიტიკურ იდეოლოგიებზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ლიბერალ-დემოკრატიულობა დეკლარირებულ დონეზე გვხვდება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში და კანონში ზოგადი განათლების შესახებ, ისიც იმიტომ, რომ ზგემშია ნახსენები. ეს ნიშნავს იმას, რომ ის უბრალოდ, ფასადურ დონეზე წერია.” (ექსპერტი 2)

ცნობილია რა, რომ ბოლო წლების განმავლობაში განათლება მეტად მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა სახელმწიფოსათვის, რაზეც მოწმობს ყოველწლიური ბიუჯეტის ზრდა და არაერთი რეფორმა ამ მიმართულებით.

მაგალითად, 2012 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შემდგომი განვითარება და დანერგვა, რომელიც მიმართულია არსებული გამოწვევების გადაჭრისკენ თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. 2016 წელს დასრულდა ზოგადი განათლების ეროვნული

სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის ნაწილის განახლება, რასაც მოყვება სახელმძღვანელოების განახლება და ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წელს. აქვე უნდა ითქვას, რომ პერმანენტულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საჯარო სკოლებში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021), თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერთიანი პოლიტიკა არ შემუშავებულა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამ მხრივ არაერთ პრობლემას ვაწყდებით, როგორც ფუნდამენტურ, ისე ინკრიმენტულ საკითხებში.

### **კანონის, დეკლარირებული მიზნებისა და აღსრულების პრიზმა**

ჩვენ გვაქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, მაგრამ საინტერესოა, თავად როგორ განათლებას გვთავაზობს სახელმწიფო? რა ფორმის და ფორმით? როგორ სივრცეში? ვისთან ერთად და ვის მიერ? საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი განათლების სივრცეში ნათელს ჰფენს შემდეგ გარემოებას, რომ მოსწავლეები უნდა ჩამოყალიბდნენ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე, მათ სწორად უნდა ესმოდეთ სახელმწიფოს როლი და ფუნქცია, სწორად აფასებდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესს, აღიზარდონ ტოლერანტული და კულტურული თვითმყოფადობის პრინციპებზე და სხვა. სახელმწიფო ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 9), თუმცა იგი არსად განმარტავს, რას გულისხმობს სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები ამ მიმართულებით და, ფაქტობრივად, არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რომელიც ეფექტურად განსაზღვრავდა, თუ როგორი უნდა იყოს გარემო. მეტიც, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე არ არსებობს მონაცემები, რომელიც დაადგენდა, რამდენადაა სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები მიღწეული ამავე სისტემაში. აქვე ის საკითხიცაა, რომ კანონი არ ახდენს ლიბერალ-დემოკრატიული პრინციპების

დეფინირებას. ეს ყველაფერი კი ფასადურ ელფერს იძენს. “საქართველოში შედარებით მაღალია სიღარიბის და უთანასწორობის დონე, რაც ხელს უშლის ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზებას არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ შრომის ბაზარზეც. 90-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ საქართველოში უმჯობესდება საერთო კეთილდღეობა და მცირდება სიღარიბე, თუმცა ის მაინც პრობლემაა. მსოფლიო ბანკის ინდიკატორების მიხედვით, ჯინის კოეფიციენტი 2015 წელს 39%, ხოლო 2016 წელს 36.5% იყო; ეს მაჩვენებელი უთანასწორობის საზომად ყველაზე ხშირად გამოიყენება. სოციალური უთანასწორობის საქართველოსნაირი მაჩვენებლები იმ ქვეყნებს აქვთ, რომელთა დამახასიათებელი ნიშანი საშუალო კლასის არარსებობა ან მცირერიცხოვანი საშუალო კლასია. ეს მაჩვენებლები გაცილებით მაღალია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლები. არსებული სოციო-ეკონომიკური პრობლემები განათლებაზე ხელმისაწვდომობას ამცირებს. მოსწავლეებს განათლების მიტოვება უწევთ, რაშიც დიდ როლს ფინანსური პრობლემები ასრულებს. ახალგაზრდები სოციალური უთანასწორობის გამო უფრო დაბალი საფეხურის განათლებას იღებენ, რაც დიდ გავლენას ახდენს მათ შემდგომ კეთილდღეობაზე. კვლევები და ანალიზი აჩვენებს, რომ მოწყვლად ჯგუფებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ განათლებაზე, მათ შორის არიან სოციალურად დაუცველი პირები, შშმ/სსმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, და ა.შ (ექსპერტი 1).

აქვე ჩნდება შეკითხვა, რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ მან მიაღწიოს მის მიერ დეკლარირებული პოლიტიკის მიზანს თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის თაობაზე ზოგადი განათლების სისტემაში? “სამინისტროს აქვს მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა, არის ავტობუსები და სამარშუტო ტაქსები, რომლებიც დადიან მაღალმთიან რეგიონებში და სხვადასხვა სოფლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით - აი ასეთი ქმედებებია თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა, მაგრამ როგორია რეალობა, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს TIMS, PIRLS და PISA, რომელთა შედეგებმაც ანახა ძალიან საინტერესო ტენდენცია, რომ არ უმჯობესდება ჯამურ მონაცემებში აკადემიური

შედეგები. სამივე განსხვავებული ორგანიზაციის კვლევის შედეგი ამბობს, რომ არნახულად დიდი ეკონომიკური უთანასწორობის არეკვლაა მოსწავლეებს შორის. მოსწავლეები, რომელთაც აქვთ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მათი აკადემიური მოსწრება სტატისტიკურ ნიშნულზე დაბალია. ბავშვების [აკადემიურ მოსწრებას], განურჩევლად იმისა, ცხოვრობენ ქალაქსა თუ სოფელში, თუ მათი ოჯახი ძლიერია, თუ მათ უკან დგას შედარებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახი, ტერიტორიებზე და სქესზე უკეთ ხსნის ეკონომიკური უთანასწორობა. ეს კი ყველაზე კარგი პრედიქტორია, რა განაპირობებს მის აკადემიურ წარმატება-წარუმატებლობას” (ექსპერტი 2).

### **კანონი და რეალობა - უმცირესობები, რელიგია, დისკრიმინაცია და სკოლის ვალდებულებანი**

კანონი “ზოგადი განათლების შესახებ” აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზება, საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 13. 2005). ის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად გვთავაზობს, რომ დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია. ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად (კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 13, 2005). სწორედ ამავე მუხლის ნაწილი 6 ცხადყოფს, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. ბოლოს კი, უმცირესობების ჭრილში ზოგადი განათლების კანონმდებლობა მიგვითითებს, რომ

სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 13). მაგრამ აქ ერთი ინკრიმენტული კომპონენტი იბადება დისკუსიისათვის, რაც როგორც ტერმინოლოგიურ, ისე შინაარსობრივ ამბივალენტობას ბადებს. აღსანიშნავია, რომ ფუნდამენტური საკითხია, იცავს თუ არა თავად ეს მუხლი ზოგადად უმცირესობების ინტეგრაციისა და სოციალური ფუნქციონირების საკითხს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში? უპირველეს ყოვლისა, როგორც ვხედავთ, კანონი ეხება მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობებს, რომელზეც, როგორც წესი, გადაჯაჭვულია მათი რელიგია. აქ მთავარი კითხვაა, არის თუ არა საკმარისი ეთნიკური უმცირესობების დაცვა მხოლოდ მათი ენისა და კულტურული კუთვნილების ან/და გამოხატვის უზრუნველყოფის მიმართულებით? თუმცა, აქვე მეორე პრობლემატური საკითხიც ჩნდება: სად არის რეგულირების ჩარჩო, რომელიც მოიცავს სხვა უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფისა და მათი დაცვის გარანტიის საკითხებს?

ამავე კანონის მიხედვით, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება. დაუშვებელია, ამავე პირებს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობასა და სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე კი, რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 18). ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი პრობლემები გვაქვს რელიგიური თავისუფლებისა და რწმენის უზრუნველყოფის საკითხებში. ჯერ ერთი, ჩვენ არ გვაქვს ეფექტური მექანიზმი, რომელიც დაიცავდა რელიგიური

უმცირესობის წარმომადგენელს იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ ვაწყდებით ხატების კუთხეებსა და სამლოცველო ოთახებს სკოლებში. რასიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხის შესახებ ევროპულმა კომისიამ 2010 წელს გამოსცა მოხსენება საქართველოს შესახებ, სადაც "ECRI" რეკომენდაციით მოგვმართავს, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა მიწვდეს თითოეულ საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მნიშვნელოვანი და ნათელი გზავნილით, რელიგიური მრავალფეროვნების აღიარებისა და პატივისცემის შესახებ (ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, 2010).

ეს ყველაფერი კი კონფლიქტის გამომწვევი შეიძლება გახდეს. პრობლემაზე მიუთითებს ისიც, რომ საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი მძაფრად არატოლერანტული, ქსენოფობიური განწყობების პირობებში და რელიგიური კონფლიქტების დროს, დომინანტი რელიგიური ჯგუფის მხრიდან მუსლიმი თემის გაუცხოებისა და მიუღებლობის პრობლემამ, ნათელი გახადა კოლექტიურ ცნობიერებაში და უმთავრესად განათლების სისტემაში არსებული სერიოზული ხარვეზები, რაც სახელმწიფოს მხრიდან დროულ და ეფექტურ ჩარევას ითხოვს. რელიგიურ კონფლიქტებში აირეკლებოდა ის განწყობები და დამოკიდებულებები, რომელიც კონფლიქტების ადგილებში მდებარე სკოლებში არსებობდა (სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ, სახელმწიფოს როლი 2012-2013 წლებში საქართველოში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების მოგვარებაში, 2013).

უმცირესობების, რწმენისა და რელიგიის საკითხებზე სიღრმისეული ინტერვიუს პროცესში ყურადღება გაამახვილა ექსპერტმა:

"ჩვენი ზოგადი განათლების სისტემა აღიარებს ყველაზე უმტკივნეულო უმცირესობას საქართველოში. ყველაზე უმტკივნეულოა ეთნიკური უმცირესობა, ვინაიდან საქართველო არ არის მონოეთნიკური ქვეყანა. უმეტესად ეთნიკური უმცირესობების პრობლემა იქმნება ურბანულ ცენტრებში და რატომ არა რურარულ ცენტრებში? პირობითად, ახალქალაქში არის უმცირესობა, მაგრამ ის საკუთარ სკოლაში უმრავლესობაა. ეს პრობლემა კი არის თუნდაც თბილისსა და ქუთაისში,

სადაც ის მართლაც უმცირესობაა. საქართველოში ეთნიკური უმცირესობა ებმის რელიგიურ უმცირესობას. ჩვენ არასოდეს არ გვაქვს პრობლემა ეთნიკურობაზე, მასწავლებლებიც კი ღიად დეკლარირებენ, რომ ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს ეთნიკურობაზე, რომ მე მიზის ებრაელი თუ სომეხი კლასში, მაგრამ როგორც კი გადადიხარ რელიგიურზე, პრობლემა მწვავედება. ანუ ებრაელი მოსწავლის პრობლემა უფრო იუდაიზმშია, ვიდრე ებრაელობაში, აზერბაიჯანელი მოსწავლის პრობლემა ისლამშია და არა აზერბაიჯანელობაში. აქ კი რელიგიური ფაქტორი გამოდის წინ. ყველაზე პრობლემური გვაქვს სექსუალური უმცირესობები, რომელიც არის ტაბუდადებული თემა. ეთნიკური და რელიგიური იდენტობა ხილვადია, ის უფრო ღია და საჯაროა, სექსუალური უმცირესობები კი გაშლილია, დისტრიბუციულ დონეზე სკოლებში. ყველაზე უკეთ გენდერულ როლებს აყალიბებს სკოლა, როგორი უნდა იყოს გოგო ან ბიჭი. ბიჭი ხარ და რა გატირებს? აი სწორედ ბულინგი მოდის აქედან, თუ კი იმ გენდერულ როლს ვერ ერგები, რასაც აყალიბებს სკოლა” (ექსპერტი 2).

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლის დასჯა ან დასჯის მცდელობა ქართული ზოგადი განათლების სისტემისათვის მკვეთრად დამახასიათებელი ნიშანია. კანონი ზოგადი განათლების შესახებ მიუთითებს, რომ დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას. სასწავლო პროცესში უსაფრთხო გარემო ქართული ზოგადი განათლების სისტემისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. როგორც უკვე ვახსენეთ, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 20). ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი განათლების სფეროში მართლაც ეფუძნება ლიბერალ-დემოკრატიულ პრინციპებს და ის დეკლარირების დონეზე უზრუნველყოფს მოსწავლის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესების დაკმაყოფილებას, რომელიც იმპლემენტაციის თვალსაზრისით ისახება მისი უფლებების გარანტირებულ უზრუნველყოფაში,


თუმცა ისტორიულ რაკურსს რომ გადავხედოთ, კანონის მიღებიდან 3 წლის შემდეგ UNICEF-ის კვლევაში საქართველოს სკოლებში, რომელიც ეხებოდა ძალადობის საკითხებს, აღინიშნა, რომ მოსწავლეთა 47,1% ფიზიკურ ძალადობას, ხოლო 47.5% ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდა (ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, 2008). უნდა ითქვას ისიც, რომ კვლევები მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში აქტიურად ბოლო ათი წელია დაიწყო. ძალადობის პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აღმოსავლეთ ევროპაში ფიქსირდება, რუმინეთსა და უნგრეთში, თუმცა მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი საქართველოსთვის (Akiba, 2002). 2002 წლისათვის ეს საკითხი ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა, როგორც მინიმუმ იმიტომ, რომ არანაირი სტატისტიკა და მონაცემი არ არსებობდა, რომელიც მიახლოებით მაინც აღწერდა მოსწავლეთა უფლებრივ მდგომარეობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ზემოთ ნახსენებმა ბოლო პერიოდის კვლევებმა და სტატისტიკურმა მონაცემებმა კი პრობლემად დაგვიხატა მოსწავლეთა უფლებათა დაცვის საკითხი. დასკვნის სახით რომ ვთქვათ, თავის მხრივ თვისებრივმა კვლევამ ნათლად დაგვანახა ზოგადი განათლების სისტემაში არსებული პრობლემები. ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისტემა ზედმიწევნით ვერ პასუხობს მოსწავლეთა საჭიროებებს და მის დეკლარირებულ პრინციპებს, პოლიტიკის განხორციელების დონეზე.

### **რაოდენობრივი კვლევის შედეგი და დისკუსია**

მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა, მკვეთრად დაგვანახა პრობლემათა სენსიტიურობა.

მოსწავლეთა 72,6% გამხდარა სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ


„საქართველოს “კანონი ზოგადი განათლების შესახებ,” მუხლი 20, ძალადობის დაუშვებლობა, უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა,“ ეფექტურად ვერ ხორციელდება.




დიაგრამა 1.

ცნობილია, რომ გამოკითხულთა 80,2% პირადად შესწრებია მოსწავლის დისკრიმინაციის შემთხვევას, რაც მკვეთრად ნეგატიური ტენდენციაა, ეს კი მეტყველებს შემდეგზე, რომ ამავე კანონის მუხლი 13 ვერ უზრუნველყოფს ამ პრობლემის აღმოფხვრას, რომლის შინაარსობრივი მხარე ცალსახად მიუთითებს დისკრიმინაციის აკრძალვასა და უმცირესობათა უფლებების დაცვაზე.

დიაგრამა 2 .




ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 4% ამბობს, რომ ზოგადი განათლების სისტემა სრულიად არის დამყარებული ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე, როგორც ვხედავთ ტენდენცია მკვეთრად ნეგატიურია, რის საფუძველზეც მივდივართ შემდეგ გარემოებასთან, რომ საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-3 მუხლი, რომელიც ეხება ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, დეკლარირებულად რჩება და მისი იმპლემენტაცია ვერ ხერხდება.




დიაგრამა 3.

გამოკითხულ რესპოდენტთა 51,8% შეხვედრია სკოლაში რელიგიურ პროპაგანდას, რაც მკვეთრად ნეგატიური ტენდენციაა და კავშირშია ნახსენები კანონის მე-13 და მე-18 მუხლების ეფექტიანი ფუნქციონირებას საკითხთან.



დიაგრამა 4.

78,4% თვლის, რომ უმცირესობათა უფლებები სკოლაში დაცული სრულიად არ არის. ეს ტენდენციაც ნეგატიურია და კვლავ ეჭვქვეშ აყენებს ნახსენები კანონის მუხლი 13-ის იმპლემენტაციის საკითხს.



დიაგრამა 5

დასკვნა

საქართველოს ზოგადი განათლების ინსტიტუციონალური დიზაინი ლიბერალ-დემოკრატიული ფასეულობების მატარებელია. სახელმწიფო დეკლარირებს თანასწორობის, ურთიერთმიმდებლობის, სამართლიანობის, უმცირესობათა უფლებების დაცვის, ინდოქტრინაციის აკრძალვისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა იკვეთება ტენდენცია, რომ დეკლარირებული მიზნები რჩება მიზნებად და ვერ ხორციელდება აღნიშნული პრინციპების იმპლემენტაცია, რისი პრედიქტორიც ნაშრომში მოყვანილი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებია. სწორედ, აღნიშნული კვლევის ფარგლებში დგინდება, რომ მოსწავლეთა უფლებები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვნად ირღვევა, რაც უკავშირდება ზემოთქმული კანონის შემდეგ მუხლებს: 3, 13, 18, 20 და მათი აღსრულების საკითხს. ასევე თვისებრივი კვლევის ფარგლებში წინ წამოიწია ზოგადი განათლების სისტემაში მოსწავლეთა სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების საკითხი, რომელიც რეგულირდება ზოგადი განათლების კანონის მუხლი 9-ის საფუძველზე. კვლევის შედეგად მნიშვნელოვანი პრობლემები გამოვლინდა უმცირესობათა უფლებების, რელიგიური სეკულარიზმის, დისრკიმინაციის შემთხვევებისა და სკოლის ვალდებულებების აღსრულების კონტექსტში. აქვე ვასკვნით, რომ ზოგადი განათლების სისტემაში მნიშვნელოვნად დგას მოსწავლეთა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემა, რაც მათ აკადემიურ შედეგებში აისახება. ამას მიუთითებს საექსპერტო ინტერვიუები და უკვე არსებული მონაცემები. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ჰიპოთეზები გამართლდა და მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ზოგადი განათლების განვითარებისათვის აღნიშნული პრობლემები ათეული წლებია პრობლემად რჩება.

## ბიბლიოგრაფია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 10/12/1948

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, (მონიტორინგის მეოთხე ციკლი), მიღებულია 2010 წლის 28 აპრილს, გვ.28. პარ. 41; <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-IV-2010-017-GEO.pdf>

სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ, სახელმწიფოს როლი 2012-2013 წლებში საქართველოში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების მოგვარებაში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 24

ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, 2008, გვ 5  
საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს - საქართველოს რეფორმების ასოციაციის 2019 წლის 23 მაისის წერილი, MES 8 19 00625024

საქართველოს მთავრობის დადგენილება განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ

კანონი ზოგადი განათლების შესახებ - 04/08/2005წ

საქართველოს კონსტიტუცია - 24/08/1995 წ

Cox A. (2018) The current education system is failing our students. “An examination of causes of educational inequity”.

RAO V. K. (2007) Education system A P H publishing corporation.

Schütz, G., Ursprung, H. W., & Wößmann, L. (2008). *Education Policy and Equality of Opportunity. Kyklos, 61(2), 279–308.*

Akiba M. Student Victimization: National and School System Effects on School Violence in 37 Nations. *American Educational Research Journal.* 2002; 39(4): 829-853



2003 წლის ერაყის ინტერვენციის ძირითადი მიზეზები და 9/11-ის  
ტერორისტული აქტის როლი მის მიმდინარეობაში

მარიამ ნიგურიანი

თეკლა აბჯანდაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: [tekla.abjandadze016@sps.tsu.edu.ge](mailto:tekla.abjandadze016@sps.tsu.edu.ge)

[mariam.niguriani065@sps.tsu.edu.ge](mailto:mariam.niguriani065@sps.tsu.edu.ge)

## აბსტრაქტი

მოცემული თემა შეირჩა მისი აქტუალურობიდან გამომდინარე, რამეთუ იგი მოიცავს 21-ე საუკუნის დასაწყისის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო დღის წესრიგი.

მოცემული სტატია მიზნად ისახავს განსაზღვროს და გაანალიზოს, თუ რა მიზეზებმა განაპირობეს 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ერაყის მიმართ და რა ადგილი უჭირავს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტს აღნიშნული ინტერვენციის განხორციელებაში. გარდა ამისა, ნაშრომის მიზანია შეაფასოს ერაყისა და აშშ-ს ურთიერთობა ინტერვენციამდე და მის შემდგომ და ასევე ასახოს პოსტინტერვენციული მდგომარეობა ერაყში. სტატიის უმთავრესი მიზანია პასუხი გაეცეს საკვლევ კითხვას - 9/11 ის ტერორისტული აქტის გარდა, რა ძირითადმა მიზეზებმა განაპირობეს 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ინტერვენცია ერაყში?

სტატიის შესავალ ნაწილში საუბარია 2003 წელს ერაყში განვითარებულ მოვლენებზე, ასევე მიმოხილულია 9/11-ის ტერაქტის ზოგადი მნიშვნელობა და მისი სიმწვავე. ძირითადი ნაწილი ეთმობა, აშშ-ს მიერ ერაყში ინტერვენციის ხელშემწყობი ფაქტორების განხილვას და 2003 წლის ამ მოვლენებსა და 9/11-ის ტერაქტს შორის კავშირების აღმოჩენას. ნაშრომის შემდგომ ნაწილებში გაცხადებულია ის ფარული მიზნები, რომელიც აშშ-ს ამოძრავებდა ომის დროს.

საბოლოოდ, კვლევის ამოცანაა გამოიკვლიოს 9/11-ის გვერდით არსებული მიზეზები, რომლებმაც შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი იქონიეს მოცემული ინტერვენციის განხორციელებაში.

**საკვანძო სიტყვები:** 2003 წლის ერაყის ინტერვენცია, 9/11-ის ტერაქტი, აშშ-ს საგარეო პოლიტიკა, ტერორიზმის გავლენა, სადამ-ჰუსეინი, ერაყის საგარეო პოლიტიკა, ბრძოლა ნავთობისთვის.

## შესავალი

საერთაშორისო პოლიტიკის ისტორიაში ბოლო ათწლეულების მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მოვლენა მომხდარა, რომელთაგანაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია 2003 წელს აშშ-ს მიერ განხორციელებული ინტერვენცია ერაყში. ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ზე-სახელმწიფოს, დიდი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სისტემის ფორმირების პროცესში. ამიტომაც, მის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას, ყოველთვის დიდი რეზონანსის გამომწვევია და მნიშვნელოვნად ცვლის ძალთა ბალანსს როგორც რეგიონული, ისე გლობალური მასშტაბით. სტატიაში განხილული თემა კი, აშშ-ს ავტორიტეტისა და ძლიერების დამადასტურებელი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. 2003 წლის 19 მარტს აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის გადაწვეტილებით, ამერიკის სამხედრო შენაერთები შეიჭრნენ ერაყში, რომლის სათავეშიც სადამ ჰუსეინი იდგა. მიუხედავად გაეროს მკაცრი უარისა, ამერიკელი სამხედროები მაინც აღმოჩნდნენ ერაყის ტერიტორიაზე აშშ-ს მოკავშირე, დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ-ბრიტანული არმია საკმაოდ ძლიერი იყო ერაყის არმიასთან შედარებით, ამიტომაც მათ მარტივად, სულ რაღაც ერთი თვის ინტერვალში შეძლეს სადამ ჰუსეინის არმიის დამარცხება და ერაყის დედაქალაქის, ბაღდადის აღებაც მოახერხეს. აშშ-ს ამგვარმა ქმედებებმა ერაყი სერიოზულ ქაოსში გაახვია (კაჭარავა, 2018). მიუხედავად იმისა, რომ აშშ სულ მოკლე ხანში მთლიანად აკონტროლებდა ერაყს, ეს ინტერვენცია გახდა ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება „მოიგო ომი, მაგრამ წააგო მშვიდობა“ (კიკალიშვილი, 2015).

2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტი აღმოჩნდა ერთ-ერთი გარდამტეხი თარიღი ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის წარმართვისას. მოვლენის სისასტიკიდან გამომდინარე, ისტორიაში პირველად ამოქმედდა ნატოს მეხუთე მუხლი, რომელიც გულისხმობს კოლექტიური თავდაცვის

პრინციპს მაშინ, როდესაც თავდასხმა ერთ მოკავშირეზე ითვლება თავდასხმად მთელს კოალიციაზე (NATO, 2019). ამ მოვლენების დროს, აშშ-ს პრეზიდენტი იყო ჯორჯ ბუში, მან საქმის ეფექტური გამოძიება და საჭირო ზომების მიღება მოსთხოვა ყველა მაღალჩინოსანს. ამ ტერორისტული აქტის შედეგად, „ალ-ქაიდა“ და მისი ლიდერი ბინლადენი კი ამერიკის ფედერალური ბიუროს უმთავრეს სამიზნედ იქცა. ეს მოვლენა აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზეც საგრძნობლად აისახა, რამეთუ ამერიკამ გაზარდა ინტერვენცია საგარეო ომებში, ჩადო უფრო მეტი ძალისხმევა თავდაცვის გაძლიერებაში და მოახდინა ტერორიზმის ხელახალი განსაზღვრება - უწოდა მას „ახალი მტერი“ (Jones, 2019). სწორედ ამ მოვლენამ დაუდო შემდგომში სათავე ამერიკის შეერთებული შტატების ხისტ საგარეო პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და მათ შორის ერაყში.

შესაძლოა მკითხველს გაუჩნდეს კითხვა, თუ რა კავშირშია ეს ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა ერთმანეთთან. ნაშრომის შემდგომ ნაწილებში, განხილულ იქნება, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-სთვის 9/11-ის ტერორისტულ აქტს 2003 წლის ერაყში ინტერვენციის რეალური მიზნების შესანიღბად.

## **მეთოდოლოგია**

აღნიშნულ სტატიაზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ „სამაგიდო კვლევა“. იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას- 9/11 ის ტერორისტული აქტის გარდა, რა ძირითადმა მიზეზებმა განაპირობეს 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ინტერვენცია ერაყში? - ნაშრომში გამოვიყენეთ სხვადასხვა სტატიები, კვლევები თუ წიგნები, რომლებიც ეყრდნობა მეცნიერთა, ანალიტიკოსთა და პოლიტიკის მეცნიერთა შეფასებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, ნაშრომში განხილულია ისეთი პირველადი წყაროები, როგორებიცაა სახელმწიფო დოკუმენტები, პოლიტიკოსთა გამოსვლები, ინტერვიუები და ა.შ.

## ლიტერატურის მიმოხილვა

11 სექტემბრის ტერაქტი გარდამტეხი მოვლენა იყო აშშ-ს ისტორიაში. კერძოდ, ამ დღეს 19-მა ტერორისტმა გაიტაცა 4 ამერიკული ავიალაინერი. მათგან ორი, ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპ ნაგებობებს 11 სექტემბრის დილას შეეჯახა. თუმცა, ეს ყველაფერი არ აღმოჩნდა და რამდენიმე წუთში თვითმკვლელმა ტერორისტებმა თავდასხმა განახორციელეს პენტაგონის შენობაზე ვაშინგტონში. გარდა ამისა, იგეგმებოდა თეთრი სახლის ან კაპიტოლიუმის განადგურებაც, თუმცა ეს იერიში კრახით დასრულდა და მეოთხე ავიალაინერი პენსილვანიის შტატში ჩამოვარდა. ეს ტერაქტი დაგეგმილი იყო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ ლიდერის, ოსამა ბინლადენის მიერ და მან ჯამში 2977 ადამიანი იმსხვერპლა (CNN, 2019). ამ მოვლენამ მნიშვნელოვანწილად შეცვალა ამერიკელი ხალხის მსოფლმხედველობა და გადააფასა მათი ღირებულებები. მან ტერორიზმი გლობალურ გამოწვევად შერაცხა და მრავალ ქვეყანას უბიძგა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას კი აშშ ჩაუდგა სათავეში. ამ მიზნით, მან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის განხორციელებისას. ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა აშშ-ს წინაშე არსებულ გამოწვევებს ეფექტურად უპასუხა. ტერაქტიდან 9 დღეში, მან განაცხადა: „ახლა ნებისმიერ ერს, ყველა რეგიონში გადაწყვეტილება აქვს მისაღები: ამ ბრძოლაში თქვენ ხართ ჩვენთან, ან ტერორისტებთან ერთად.“ ამ ფრაზით ბუშმა ხაზი გაუსვა, მდგომარეობის სიმწვავეს და ღიად გამოხატა ტერორიზმის წინააღმდეგ ომში ჩაბმის გარდაუვალობა (Jones, 2019). სწორედ, ამგვარი პოლიტიკის გამოვლინება იყო მის მიერ მიღებული „ბუშის დოქტრინა“. ეს უკანასკნელი მოიცავდა ოთხ ძირითად ნაწილს: სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური რეჟიმის მნიშვნელობას საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას; საფრთხეების სწორად აღქმას, რომელთა დამარცხებაც შესაძლებელი იქნება ხისტი და ენერგიული პოლიტიკით, განსაკუთრებით კი პრევენციული ომებით; საჭიროების შემთხვევაში ცალმხრივად მოქმედებას; მშვიდობისა და სტაბილურობის შესახებ ფუნდამენტური აზრის მოთხოვნას, აშშ-მ

მტკიცედ დაიცვას საკუთარი პირველობა მსოფლიო პოლიტიკაში. ბუში თვლიდა, რომ ტერორისტები იყვნენ ფანატიკოსები და არ გააჩნდათ ისეთი ღირებულებები, რაც მათ შეაჩერებდა. სწორედ იმის გამო, რომ თავდაცვითი პოლიტიკა ტერორისტების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, არაეფექტური იქნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატები უნდა ყოფილიყო მზად პრევენციული ომების განსახორციელებლად. ბუშმა 2002 წლის 1 ივნისს განაცხადა, რომ ამერიკის მტრები ფლობდნენ მასობრივი განადგურების იარაღს. ასეთი გაიძვერა ქვეყნებისათვის აღნიშნული იარაღი წარმოადგენდა დაშინებისა და ძალადობის მექანიზმს მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ და მათ ეს იარაღი ესახებოდათ საუკეთესო საშუალებად აშშ-ზე უპირატესობის მოსაპოვებლად (Jervis, 2003). მოცემული დოქტრინა და მისი პუნქტები ხსნის ბუშის ქმედებებს როგორც ავღანეთთან, ასევე ერაყთან მიმართებაში.

9/11-ის ტერაქტის შემდგომ, აშშ-ს პოლიტიკა მიზნად ისახავდა თავდასხმითი ლიბერალიზმის მეშვეობით ტირანული რეჟიმების დემოკრატიით ჩანაცვლებას. ეს პრაქტიკა ძირითადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ხორციელდებოდა, იქ საიდანაც 9/11-ის ტერორისტები იყვნენ, სადაც ანტიამერიკული იდეოლოგია ჩამოყალიბდა და ნელ-ნელა დამკვიდრდა. აშშ-ს მოცემული სტრატეგიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი 2003 წლის ერაყის ინტერვენციაა. 2003 წლისათვის ერაყს სათავეში ედგა სადამ ჰუსეინი, რომელიც „რკინის ხელით“ მართავდა ქვეყანას. სწორედ მისმა ხისტმა პოლიტიკამ განაპირობა ერაყის გაძლიერება რეგიონში და მისი ჩამოყალიბება ანგარიშგასაწევ ძალად (გაჩეჩილაძე, 2008). აქედან გამომდინარე, ინტერვენციის უმთავრესი მიზეზი იყო სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა და დემოკრატიის გავრცელება ისლამური სამყაროს შუაგულში. ინტერვენციის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ანტიამერიკული, ტერორისტული ქმედებები. ამას ემატებოდა ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების თავგასული მოქმედებები, რამაც ერაყი საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ დაპირისპირებამ იმსხვერპლა მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. რაც შეეხება ამერიკელებს, მათ ამ შეტაკებების

შედეგად დაახლოებით 3000-მდე სამხედრო დაკარგეს. 2003 წლის ინტერვენციამ არ გაამართლა ამერიკელი ნეოკონსერვატორების აზრი იმის თაობაზე, რომ აშშ მოახერხებდა ერაყის დემოკრატიზაციას. ეს ძალიან რთული პროცესი იყო, რადგანაც ერაყელებს, ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნდათ თავიანთ ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმის დამყარება (კაჭარავა, 2018). თავდასხმითი ლიბერალების აზრით კი, ზემოაღნიშნული ცვლილებები ახლო აღმოსავლეთში სარგებელს მხოლოდ ადამიანთა თავისუფლების კუთხით არ მოიტანდა, ის ასევე ფუნდამენტურად მოაგვარებდა ტერორიზმის პრობლემას, რადგან ტერორისტები და დიქტატორები არიან ერთი მონეტის ორი მხარე. საბოლოო ჯამში, ამერიკის სტრატეგიის ცვლილება 9/11-ის შემდგომ იყო საფრთხის ბალანსის სისტემური ცვლილებების შედეგი (Miller, 2001).

### **სადამ ჰუსეინი და ჯორჯ ბუში**

2001 წლამდე, უკვე 11 წლის მანძილზე, სადამ ჰუსეინი ტირანის სახით იყო მოვლენილი რეგიონში. იგი აწამებდა მოწინააღმდეგეებს, წამლავდა საკუთარ ხალხს და ახორციელებდა თავდასხმებს მეზობელ სახელმწიფოებზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია მისი ქმედება ირანის წინააღმდეგ, როდესაც მან ირანის არმიისა და საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგაც კი გამოიყენა აკრძალული ქიმიური იარაღი (გაჩეჩილაძე, 2008). ამას დამატებული, 2001 წლიდან 2003 წლის ზაფხულამდე ბუში და მისი ადმინისტრაცია ირწმუნებოდნენ, რომ „ალ-ქაიდას“ და სადამ ჰუსეინს ჰქონდათ მაღალი კლასის კონტაქტები, რომელიც ათწლეულებს ითვლიდა. ერაყს გაწვრთნილი ჰყავდა „ალ-ქაიდას“ მრავალი წევრი, ამასთან სადამი სამედიცინო დახმარებასაც აწვდიდა აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერებს. აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საკუთარ გამოსვლებში მუდმივად საუბრობდა „ალ-ქაიდასა“ და ერაყს შორის მჭიდრო კავშირზე და იგი სადამ ჰუსეინს ტერორიზმის ხელშეწყობაში სდებდა ბრალს. ბუში ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა საკუთარი მოსაზრებები დაემტკიცებინა. სწორედ, ამ მიზნით გაეროს 1441-ე დადგენილების

თანახმად, ერაყში გაიგზავნა ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა მათ ვერ შეძლეს ვერანაირი კავშირის დადასტურება სადამსა და ტერორისტებს შორის, მითუმეტეს ვერც მასობრივი განადგურების იარაღის (მგი) აღმოჩენა მოახერხეს. თუმცა, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ტიპის იარაღს ერაყი არ ფლობდა, რადგან შესაძლოა სადამ ჰუსეინმა წინასწარ გათვალა ბუშის ნაბიჯი და გადამალა ან გაანადგურა იარაღები. მიუხედავად მყარი მტკიცებულებების არარსებობისა, ბუშის რიტორიკამ და მისმა გამოსვლებმა მოაპოვებინა მას ხალხის მხარდაჭერა ერაყთან ომში. აშკარაა ისიც, რომ პრეზიდენტმა გააღრმავა ზემოაღნიშნული მოსაზრება თავისი პოლიტიკური მიზნების მხარდასაჭერად (Peiffner, 2004). გარდა ამისა, ბუშის მტრული დამოკიდებულება სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ, განპირობებული იყო იმიტაც, რომ სადამი თავისი პოლიტიკით აშკარად უპირისპირდებოდა აშშ-ს. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი დიდი ხნის მოკავშირეები არიან. თავის მხრივ, ისრაელმა არაერთ ომში დაამარცხა პალესტინა და შეძლო მასზე გავლენის მოპოვება, რაშიც მას აშშ-ც ეხმარებოდა. ამის საპასუხოდ, სადამ ჰუსეინი აქტიურად ეხმარებოდა პალესტინელებს, რამეთუ იგი უხდიდა 10 ათას დოლარს იმ პალესტინურ ოჯახებს, რომელთაც მეზობლი ჰყავდათ გარდაცვლილი ღაზას სექტორში ისრაელთან ომის დროს. ამას დამატებული, სადამი „თვითმკვლელი“ ტერორისტების ოჯახებსაც უზრუნველყოფდა ფინანსურად 25 ათასი დოლარით. ამასთან ერთად, სადამმა მხარდაჭერა აღუთქვა პალესტინელებს ისრაელთან ბრძოლაში, დაპირდა მათ ისრაელის წინააღმდეგ სარაკეტო დაბომბვებში დახმარებას. ამ ყველაფერმა მას საკმაოდ დიდი პოპულარობა მოუტანა პალესტინელთა შორის (BBC, 2003).

### **ინტერვენციის მთავარი მიზეზები**

ბუშისა და მისი ადმინისტრაციის მუდმივი ხაზგასმის მიუხედავად, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ 2003 წლის ერაყის ომი არ იყო ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ ტერორიზმის აღმოსაფხვრელად, მასობრივი განადგურების იარაღის

მოსასპობად ან ერაყელი ხალხის ტირანიისგან დასახსნელად. არამედ, ერაყში ინტერვენცია იყო აგრესიის, ჰეგემონიისა და ძლიერი იმპერიის არასამართლიანი ომი. „ოპერაცია ერაყის თავისუფლება“ (როგორც აშშ-ს ხელისუფლებამ უწოდა) გამოხატავდა ამერიკის შეერთებული შტატების სურვილს, შეცვლილიყო გეოპოლიტიკური რუკა ამერიკის ძლიერების გამყარებითა და მისი ჰეგემონიის გაფართოებით (Everest, 2004). ამ საკითხის განხილვისას იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ 2003 წლის ერაყის ომი ჩაითვალოს ჰუმანიტარულ ინტერვენციად? ამის მხარდასაჭერ არგუმენტს წარმოადგენს აშშ-ს ადმინისტრაციის აზრი, რომ ინტერვენციის უმთავრესი მიზეზი ერაყელი ხალხის სადამ ჰუსეინის სასტიკი რეჟიმისგან განთავისუფლება იყო. მიუხედავად ამისა, ერაყში ვერც მგი აღმოაჩინეს და ვერც სადამის კავშირები დაადასტურეს „ალ-ქაიდასთან“ (Roth, 2006).

ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზანი უნდა ყოფილიყო ჰუმანური შედეგების მაქსიმიზაცია და ერაყის მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების დაცვა. შესაბამისად, ერაყის ომი არ შეიძლება მივიჩნიოთ ჰუმანიტარულ ინტერვენციად, რადგანაც ამერიკის შეერთებული შტატების არმია საკმაოდ აგრესიულად ექცოდა ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის იყო შემთხვევები, როდესაც ამერიკელი სამხედროების ნაწილი უზნეობას ავლენდა და ხოცავდა უდანაშაულო მოსახლეობას, მათ შორის ქალებსა და ბავშვებსაც (ჯენტელსონი, 2015). საბოლოო ჯამში, ამგვარმა ქმედებებმა ერაყში ჰუმანიტარული კრიზისიც კი გამოიწვია, იმის მაგივრად, რომ მშვიდობა მოეტანა მოსახლეობისთვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, ერაყის დემოკრატიზაციის გარდა, ამოდრავებდა სხვა დაფარული მიზნებიც. მათ შორის, ერაყის ნავთობის რეზერვებზე კონტროლის დამყარება, აშშ-ს უპირობო ჰეგემონობის დადასტურება საერთაშორისო არენაზე და იმ იდეოლოგიური მოსაზრების ჩამოყალიბება, რომ აშშ სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელებას უწყობს ხელს (Zizek, 2003). ერაყში ინტერვენციაც სწორედ ამ უკანასკნელს ისახავდა მიზნად. პრეზიდენტმა ბუშმა თავიდანვე გაუსვა ხაზი

დემოკრატიის, როგორც ღირებულების მნიშვნელობას. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, ბუშის აზრით, მის მიერ განხორციელებული 2003 წლის ომი იქნებოდა გამართლებული სადამ ჰუსეინის ოლიგარქიული რეჟიმის დამხობის აუცილებლობითა და მისი დემოკრატიული პარტიით შეცვლით. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია დაფუძნებულია მშვიდობაზე, სამართლიანობაზე, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, ქვეყნის სუვერენიტეტსა და მის თავისუფლებაზე, ეს პრინციპები უგულებელყოფილ იქნა აშშ-სა და ბრიტანეთის მიერ ერაყზე განხორციელებულ ქმედებებში. ეს ორი სახელმწიფო მიზნად ისახავდა, ერაყის დემოკრატიზაცია ექციათ მაგალითად შემდგომში იგივე ცვლილებების მთელს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განსახორციელებლად. ამ ყველაფრსი საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოს ხელახალი ჩამოყალიბება, რომელშიც გაბატონებული იქნებოდა ამერიკული ღირებულებები და რომლისგანაც აშშ აუცილებლად მიიღებდა გარკვეულ სარგებელს (Boaduo, 2012).

ნავთობი მუდმივად იყო ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი, რომელიც იდგა საგარეო ინტერესების, ძალთა ბალანსისა და ტერიტორიული კონფლიქტების მიღმა სპარსეთის ყურეში. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად, აშშ-ს პოლიტიკა სპარსეთის ყურის რეგიონში მნიშვნელოვნად შეიცვალა. აშშ-ს ერაყში სამხედრო ინტერვენციის კრიტიკოსები მსჯელობენ, რომ ტერორიზმით დამაჯერებლად შენიღბული ომის მთავარი მიზეზი იყო სპარსეთის რეგიონში არსებულ ნავთობზე იმპერიალიზმის დამყარების განახლებული მცდელობა. როგორც უკვე აღინიშნა, ბუშის პოლიტიკას ბევრი აფასებს, როგორც ადამიანის უფლებების დამცველ ღონისძიებას და სადამ ჰუსეინის პოლიტიკური ძალადობისაგან ერაყის გამოხსნას. თუმცა, ამის უკან იმალება აშშ-ს ადმინისტრაციის მისწრაფება მოეპოვებინათ უფასო წვდომა ნავთობზე სპარსეთის ყურეში. ამას დამატებული, ამერიკა ერაყის ნავთობის საბადოებზე კონტროლის დამყარებას ამართლებდა ქვეყანაში კეთილდღეობისა და პოლიტიკური სტაბილურობის დამყარების მოტივით (Billon, 2005).

გეოგრაფიული და ეკონომიკური კუთხით მიჩნეულია, რომ ერაყი ფლობს მსოფლიოს ნავთობის რეზერვების 10%-ზე მეტს. კვლევების მიხედვით, აშშ-ს ეკონომიკა უფრო და უფრო ხდება დამოკიდებული ნავთობის იმპორტზე. ამერიკას სურდა, რომ ჰქონოდა წვდომა არსებულ ნავთობ რესურსებზე ან მოეძიებინა უფრო იაფი რესურსები. იგი ასევე დიდი ხნის მანძილზე ისწრაფვოდა იმისკენ, რომ დაემყარებინა კონტროლი ნავთობის მწარმოებელ რეგიონებზე, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთზე, ამის გამო მან მშვიდობაც კი დათმო და ომი წამოიწყო. გარდა ამისა, ერაყში შეჭრის კიდევ ერთი არაპირდაპირი მიზეზი იყო ევროპისა და აზიის ეკონომიკაზე ბერკეტების მოპოვება, რამეთუ ამ ორი კონტინენტის სახელმწიფოები მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებულნი ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის ექსპორტზე. ცნობილი მკვლევარი ჩომსკი ამბობდა, რომ თუ ამერიკა შეინარჩუნებდა კონტროლს ერაყზე, რომელიც ცნობილია ნავთობის მსოფლიოში სიდიდით მეორე რეზერვის ფლობით, მაშინ აშშ შეძლებდა სტრატეგიული ძალაუფლებისა და გავლენის გაზრდას თავისი მეტოქეების წინააღმდეგ მესამე სამყაროში (Boaduo, 2012). გარდა ამისა, ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდება, აშშ-ს ექნება საშუალება მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი თავისი სურვილისამებრ განსაზღვროს, რაც ფაქტობრივად, მას უპირობო ჰეგემონიას მიანიჭებდა. ერაყის წინააღმდეგ წარმატებულად წარმოებული ომით, პირველ რიგში, სარგებელს ნახავდნენ ამერიკული ნავთობკომპანიები და ასევე ის კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ და ამონტაჟებენ ნავთობის გადამამუშავებისთვის საჭირო ტექნიკას (Bennis, 2005). 2003 წლის 22 მაისს ბუშმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც მან ნავთობკომპანიებს მიანიჭა იმუნიტეტი ერაყის ნავთობზე ნებისმიერი ქმედების განსახორციელებლად. იმავე დღეს, ამერიკისა და ბრიტანეთის ზეწოლით, გაერომ გამოსცა რეზოლუცია 1483, რომელმაც შეამსუბუქა არსებული სანქციები და ოკუპანტ ხელისუფალთ ნება დართო გაეყიდათ ერაყის ნავთობი (James, 2003). საბოლოო ჯამში, ერაყის ინტერვენციის შედეგად აშშ მოიპოვებდა გლობალურ ჰეგემონიას, რომელიც

უზრუნველყოფილი იქნებოდა ნავთობით და ენერგეტიკული უსაფრთხოებით (Boaduo, 2012).

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ერაყში ინტერვენციის უმთავრეს მიზანს ხაზს უსვამს მათი სამხედრო შენაერთების ქმედება. კერძოდ, ბალდადში შეჭრისთანავე მათ დამცავი კორდონი შემოარტყეს ნავთობის სამინისტროს, რითაც მათ მოახერხეს ათასობით სეისმური რუკის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამომავლოდ ნავთობსაბადოების აღმოჩენებისთვის. მეორე მხრივ, სამხედროებმა ყველა სხვა ინსტიტუტი დაუცველი დატოვეს. ამას დამატებული, მათ სამინისტროების, საავადმყოფოებისა და კულტურული დაწესებულებების გადაწვისა და დაზიანების ნებართვაც კი გასცეს. დაზიანებულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ერაყის ეროვნული მუზეუმი და ეროვნული ბიბლიოთეკა (James, 2003).

## დასკვნა

საბოლოო ჯამში, ყველა ზემოგანხილული წყაროს საფუძველზე, სტატიაში შეძლო ეპასუხა საკვლევი კითხვისთვის და მკითხველისთვის მიეცა საშუალება, გაეანალიზებინა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ 9/11-ის ტერორისტული აქტი აშშ-თვის გარდამტეხ მოვლენად იქცა და ამერიკის ისტორიაც ორ ნაწილად - 9/11-მდე და მის შემდგომ იყოფა, ერაყში ინტერვენციას მხოლოდ ამ მოვლენამ არ ჩაუყარა საფუძველი. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული ტერაქტი ერთგვარ იარაღადაც იქცა ჯორჯ ბუშისათვის, რათა ოსტატურად შეენიღბა საკუთარი ჰეგემონური სურვილები და აშშ საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენილიყო, როგორც დემოკრატიული იდეების მსოფლიოში გამავრცელებელი სახელმწიფო. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი რეალური მიზნები სცდებოდა ჰუმანურ ჩარჩოებს და მისწრაფვოდა ისეთი მსოფლიოს კონსტრუირებისკენ, რომელშიც ყველაზე ძლიერი სახელმწიფო თავად იქნებოდა. ამას იგი აპირებდა, პირველ რიგში, ახლო აღმოსავლეთის დამორჩილებით, ნავთობის რესურსებზე კონტროლის მოპოვებითა

და აზიის ეკონომიკურ ბაზარზე გაბატონებით. აქედან გამომდინარე, მას სურდა მნიშვნელოვნად გაემყარებინა საკუთარი ეკონომიკური სიძლიერე და არ დაემვა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ნავთობის რესურსებზე კონკურენტ სახელმწიფოთა მიერ გავლენის მოპოვება. აშშ-მ ამ მიზნების მიღწევა სწორედ ერაყის ინტერვენციით დაიწყო. ჯორჯ ბუშს ამგვარი პოლიტიკის განხორციელებაში ხელი მნიშვნელოვნად სწორედ სადამ ჰუსეინის სასტიკმა რეჟიმმა და მისმა პოლიტიკამ შეუწყო. აშშ-მ, ფაქტობრივად, სადამ ჰუსეინი საფრთხედ დასახა მსოფლიო მშვიდობის გზაზე. სადამის ფარული კავშირები „ალ-ქაიდასთან“ და მისი დიდი სურვილი ბირთვული იარაღის ფლობისა, მართლაც რომ დიდ ეჭვს იწვევდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ აღნიშნულ მოვლენას საკმაოდ ფართო რეზონანსი მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, თუმცა როგორც უკვე ვახსენეთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამერიკის შეერთებული შტატების უმთავრესი მიზნები, როგორებიცაა აშშ-ს სურვილი, ქცეულიყო ჰეგემონად ახლო აღმოსავლეთში და ამის საშუალებით გაეზარდა საკუთარი გავლენა მსოფლიოს მასშტაბით. ჯორჯ ბუში, ერაყში ინტერვენციის განხორციელებისას, ამერიკული ღირებულებებისა და იდეოლოგიის საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებასაც ისახავდა მიზნად, რაც ერთგვარად, ერთ-ერთი უდიდესი ნაბიჯი იქნებოდა აშშ-ს გლობალური ბატონობისკენ მიმავალ გზაზე.

### **ბიბლიოგრაფია:**

გაჩეჩილაძე რევაზ, 2008, „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, მესამე გადამუშავებული გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 314-315

კაჭარავა ვასილ, 2018, „დემოკრატიის გაკვეთილები, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 523-524

კიკალიშვილი შალვა, 2015, „აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ-23, available at: [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/shalva\\_kikalishvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/shalva_kikalishvili.pdf) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

ჯენტელსონი ბრუს, 2015, „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. available at: [http://iliauni.edu.ge/uploads/other/16/16398.pdf?fbclid=IwAR1sQVhYEwiAW2IbKsY9dj923zs5dYMaV2pHq\\_jkfkDDJj945fr8w-Qces](http://iliauni.edu.ge/uploads/other/16/16398.pdf?fbclid=IwAR1sQVhYEwiAW2IbKsY9dj923zs5dYMaV2pHq_jkfkDDJj945fr8w-Qces) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

BBC, 2003, “Palestinians get Saddam funds”, available at: [http://news.bbc.co.uk/2/hi/middle\\_east/2846365.stm?fbclid=IwAR1O7Gg2\\_t8C6vI\\_vfTbyS\\_XlhQ5s6XdoUuQXqVYXkB7SCLq\\_7Prz8hM0nw](http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/2846365.stm?fbclid=IwAR1O7Gg2_t8C6vI_vfTbyS_XlhQ5s6XdoUuQXqVYXkB7SCLq_7Prz8hM0nw) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Bennis Phyllis, 2003, “Understanding the US-Iraq Crisis”, A pamphlet of the Institute for Policy Studies, available at: [https://www.tni.org/en/article/understanding-the-us-iraq-crisis?fbclid=IwAR2l6wy16avhnZnY8n1XAGu63uXMxrfYQ\\_xVaqcQxhvY\\_YC0Bn-TdyuoDP0](https://www.tni.org/en/article/understanding-the-us-iraq-crisis?fbclid=IwAR2l6wy16avhnZnY8n1XAGu63uXMxrfYQ_xVaqcQxhvY_YC0Bn-TdyuoDP0) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Billon le Philippe, 2005 “Corruption, Reconstruction and Oil Governance in Iraq”, University of British Columbia 26(4), available at: [https://www.researchgate.net/publication/240521176\\_Corruption\\_Reconstruction\\_and\\_Oil\\_Governance\\_in\\_Iraq](https://www.researchgate.net/publication/240521176_Corruption_Reconstruction_and_Oil_Governance_in_Iraq) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Boaduo Nana Adu-Pipim, 2012, “Invasion of Iraq: Introspective Analysis of US Long Term Foreign Poicy in the Middle East”, Journal of Political Studies, available at: [http://pu.edu.pk/images/journal/pols/pdf-files/INVASION%20OF%20IRAQ%20MANUSCRIPT%20\(3\)-](http://pu.edu.pk/images/journal/pols/pdf-files/INVASION%20OF%20IRAQ%20MANUSCRIPT%20(3)-)

[winter2012.pdf?fbclid=IwAR2B84hnArU0VmYf67S4l3TfRa92wNMqlB6-ps\\_Q3Od-oxFXh8L64S-pX00](https://www.researchgate.net/publication/3310293) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

CNN Editorial Research, 2019, "September 11 Terror Attacks Fast Facts", available at: <https://edition.cnn.com/2013/07/27/us/september-11-anniversary-fast-facts/index.html?fbclid=IwAR3zYRjab7c2KzQWaHVb8t7Mxj2ikMUqfFlvM-rSdNWhs79VLhvRvwi7sgM> ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Everest Larry, 2004, "oil, power & empire: Iraq and the USA Global Agenda", Common Courage Press, available at: <http://www.worldcantwait.net/materials/OPE-CHAPTER%20ONE.pdf?fbclid=IwAR2lNwjDvYxdx9Om-C-wlRy1CMNCNcVo3lPuMYxbdM7XAsTnxa2X382OWRo> ბოლოს ნანახია: 25/05/2020

James A. Paul, 2003, "Oil Companies in Iraq", Global Policy Forum, available at: [http://www.rmbonline.cn/images/pdfs/Oil\\_Companies\\_in\\_Iraq\\_2.pdf?fbclid=IwAR17dadN64wbVnGC32Ug2DWiKkLlw8vxqnhMw-UVPLRm\\_XPERyJWxOQ\\_KY](http://www.rmbonline.cn/images/pdfs/Oil_Companies_in_Iraq_2.pdf?fbclid=IwAR17dadN64wbVnGC32Ug2DWiKkLlw8vxqnhMw-UVPLRm_XPERyJWxOQ_KY) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Jervis Robert, 2003, "Understanding the Bush Doctrine", political science quarterly, available at: <http://acme.highpoint.edu/~msetzler/AFP/AFPreads/JervisBushDoct.pdf> ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Jones Steve, 2019, "How Did US Foreign Policy Change After 9/11?", last updated: July 25, available at: <https://www.thoughtco.com/us-foreign-policy-after-9-11-3310293> ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Miller Benjamin, 2001, "The Concept of Security: Should it be Redefined?", Journal of Strategic Studies 24(2), available at: [https://www.researchgate.net/publication/261845745\\_The\\_Concept\\_of\\_Security\\_Should\\_it\\_be\\_Redefined?fbclid=IwAR12ON6Hk5g--nFzTZzg-4CFPQSEwcMuOCUrn48YSrhSDNkJH90\\_59\\_2u20](https://www.researchgate.net/publication/261845745_The_Concept_of_Security_Should_it_be_Redefined?fbclid=IwAR12ON6Hk5g--nFzTZzg-4CFPQSEwcMuOCUrn48YSrhSDNkJH90_59_2u20) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

North Atlantic Treaty Organization, "Collective defence–Article 5", 2019, Last updated: 25 november, available at: [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_110496.htm?fbclid=IwAR3zYRjab7c2KzQWaHVb8t7Mxj2ikMUqfFlvM-rSdNWhs79VLhvRvwi7sgM](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm?fbclid=IwAR3zYRjab7c2KzQWaHVb8t7Mxj2ikMUqfFlvM-rSdNWhs79VLhvRvwi7sgM) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Paiffner P. James, 2014, "Did President Bush mislead Country in His Argument for War with Iraq", George Masson Univesity, available at: <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.598.6703&rep=rep1&type=pdf&fbclid=IwAR2C6lpW1JNcy-w6xsV2bmthTaOT7-PjqhvSrgcxG2H6zia-kg4LmYWw6g> ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Roth Kenneth, 2006, "Was the Iraq War Humanitarian Intervention?", Journal of Military Ethics 5(2), available at: [https://www.researchgate.net/publication/263132721\\_Was\\_the\\_Iraq\\_War\\_a\\_Humanitarian\\_Intervention?fbclid=IwAR1fzue3-juGkZtuVAZn7UU7arP4qFQyjYwRatOhFX\\_X-1mpRhM5kZZghZI](https://www.researchgate.net/publication/263132721_Was_the_Iraq_War_a_Humanitarian_Intervention?fbclid=IwAR1fzue3-juGkZtuVAZn7UU7arP4qFQyjYwRatOhFX_X-1mpRhM5kZZghZI) ბოლოს ნანახია: 25/05/2020

Zizek Slavoj, 2003, "The Iraq War: Where is the true danger?" available at: <https://red.pucp.edu.pe/ridei/files/2011/08/137.pdf?fbclid=IwAR36xRmcVToYqzS7HYj4R10pMTzW0tJ6Xae0xja05qfNUZVGmEFmMt3xKsU> ბოლოს ნანახია: 25/05/2020

**S**tudent  
**J**ournal of  
**S**ocial **S**ciences

სტუდენტთა ჟურნალი  
სოციალურ მეცნიერებებში  
#13, ივლისი, 2020



**ჩინეთი-აშშ-ს სავაჭრო ომი: გამომწვევი მიზეზები და  
არსებული შედეგები**

**ვასიკო ხორავა**

**ილია რურუა**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: [iliarurua10@gmail.com](mailto:iliarurua10@gmail.com)

[khorava.vasili@gmail.com](mailto:khorava.vasili@gmail.com)

## აბსტრაქტი

სტატია მიზნად ისახავს მიმოიხილოს 2 ყველაზე მსხვილ გლობალურ აქტორს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მიმდინარე ეკონომიკური დაპირისპირება.

ნაშრომის მიზანია განსაზღვროს, თუ რამ გამოიწვია მსოფლიოს ორ ლიდერ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური კონფლიქტი და რა შედეგები მოჰყვა მას. სავაჭრო ომის ისტორიული კონტექსტის მიმოხილვის, საკითხისადმი მეცნიერთა შეფასებების გაცნობის და პოლიტიკოსთა გამოსვლების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ამერიკა-ჩინეთის სავაჭრო ომი განპირობებული იყო ჩინეთის ჰეგემონობის (რომელიც დიდი რისკების მატარებელია დემოკრატიული საზოგადოებებისთვის) თავიდან ასაცილებლად და აშშ-ს ეკონომიკური ხელშეწყობით. თუმცა, განვიხილეთ რა სავაჭრო ომის შედეგები ორივე ქვეყნის მოსახლეობისთვის, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დონისთვის, მივედით დასკვნამდე, რომ სავაჭრო ომში ჩაბმა ორივე ქვეყნისთვის საზიანოა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

**საკვანძო სიტყვები:** სავაჭრო ომი, 5G კავშირგაბმულობა, ამერიკის სავაჭრო დეფიციტი, აშშ, ჩინეთი.

## შესავალი

დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო კამპანიის დროს, მისი დაპირებების ძირითადი ნაწილი შეეხებოდა იმას, თუ როგორ დაკარგა ამერიკამ თავისი სიძლიერე და რაოდენ არასახარბიელო სავაჭრო პირობებზე თანხმდებოდა იგი. მან თავისი ადმინისტრაციის ძირითად მიზნად დასახა „დაშვებული შეცდომების“ გამოსწორება და ამერიკისთვის ძველებური სიდიადის დაბრუნება.

ამ მიზნის მისაღწევად მან ერთობ ხისტი მიდგომა აარჩია და 2018 წლის 6 ივლისს წამოიწყო სავაჭრო ომი ჩინეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ეკონომიკურ შეზღუდვებს არა მარტო ჩინეთთან მიმართებაში იყენებდა, არამედ

მრავალ „ფრონტზე“ - ადებდა გადასახადებს კანადიდან, მექსიკიდან, იაპონიიდან და ევროკავშირის სახლემწიფოებიდან იმპორტირებულ ფოლადს, ალუმინს, მზის პანელებსა და სხვა პროდუქტებს. ამ ტარიფებმა მეტად დააზიანა ამერიკული კომპანიები, რადგან ჩინეთი დიდ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის დიდ ნაწილზე და აგრეთვე გლობალური მიწოდების ქსელზე დამოკიდებულ მრავალ მსხვილ კომპანიაზე (Swanson, 2018).

საერთო ჯამში, ამ დაპირისპირებამ, რომელსაც დიპლომატიური ურთერთობების დაზიანებაც მოჰყვა, თუ გავითვალისწინებთ ამერიკის მიერ ჩინეთის „ვალუტის მანიპულატორად“ შერაცხვას (Goodman & et. al. 2019), მოიცვა ამერიკა-ჩინეთის 660 მილიარდ დოლარიანი სავაჭრო ურთერთობების 50%-ზე მეტი. იმისდა მიუხედავად, რომ ამერიკელი კანონმდებლები, კონგრესმენები თანხმდებოდნენ ჩინეთზე ზეწოლის მოხდენაზე, რესპუბლიკელი პრეზიდენტის ქმედებებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია (Higgins, 2019). აშკარა იყო, რომ კონგრესის წარმომადგენელთა უმრავლესობა იძულების ამ გზას არ ემხრობოდა ამერიკა-ჩინეთის ურთერთობების ისტორიიდან და მსოფლიოს ეკონომიკური ურთერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

თავდაპირველად, ამ ეკონომიკური დაპირისპირების პირველი ორი რაუნდის დროს (2018 წლის 6 ივლისსა და 23 აგვისტოს), შეერთებულმა შტატებმა დააწესა 25%-იანი ტარიფები 50 მილიარდი დოლარის (USD) ღირებულების მქონე ჩინურ პროდუქციაზე, ხოლო მესამე რაუნდისას - 10%-იანი გადასახადი 200 მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქციაზე, რასაც მალევე მოჰყვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პასუხი. პირველ ორ ეტაპზე მან დააწესა 25%-იანი ტარიფი 50 მილიარდი დოლარის (USD) ღირებულების მქონე აშშ-დან იმპორტირებულ საქონელზე, ხოლო მესამე რაუნდის დროს - 5%-იანი და 10%-იანი გადასახადები 60 მილიარდი დოლარის (USD) ღირებულების მქონე პროდუქციაზე (Kwan, 2019).

მსგავსმა ქმედებებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ამერიკის შიდაპოლიტიკურ სივრცეში და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დაკავშირებული იყო ამერიკა-ჩინეთის ისტორიული ურთერთობების ბუნებასთან. აქედან გამომდინარე, იბადება შეკითხვა თუ ურთერთობების როგორი ისტორია აქვთ ამერიკასა და ჩინეთს და რა ზეგავლენას ახდენს ისტორია პოლიტიკოსების დღევანდელ ქმედებებზე? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროდ ვთვლით, გავაანალიზოთ ამერიკა-ჩინეთის ურთერთობების ისტორია.

1978 წელს ჩინეთში ეკონომიკური მოდერნიზაციის ახალი გეგმის წარდგენამ (დენ სიაოპინის ხელმძღვანელობით), კაპიტალისტური ელემენტების დამკვიდრებამ გეგმიურ ეკონომიკაში (ადგილობრივი ბაზრის გახსნა უცხოური ბიზნესებისთვის, მოსახლეობისთვის ბიზნესის წამოწყების უფლების მიცემა, მეურნეობის დეკოლექტივიზაცია და სხვა) დასაბამი მისცა ამერიკულ-ჩინურ ურთერთობებს.

1979 წლის 7 ივლისს დადებულმა სავაჭრო ხელშეკრულებამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ცვლილება ამერიკის ეკონომიკურ პოლიტიკაში - სოციალისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიკური ურთერთობების შემზღვეველი წესების ცვლილება მეგობრულ სახელმწიფოებთან დამკვიდრებული ეკონომიკური ურთერთობების წესებით (Kent, 2001).

გეგმიური ეკონომიკის ცვლილებამ, მისმა მოდერნიზაციამ ვერ შეცვალა ჩინეთის სოციალისტური ბიუროკრატიული ინსტიტუტი და მისი დამოკიდებულება მოქალაქეთა უფლებების დაცვის მხრივ (1989 წლის ტიანანმენის მოედანზე გამართული პროდემოკრატიული სტუდენტური პროტესტის ძალით დარბევა), რაც სიძნელების წინაშე აყენებდა ამერიკულ-ჩინური ურთერთობების გადრმავეების პროცესს.

ვაშინგტონი წლების განმავლობაში ადანაშაულებდა ჩინეთს საერთაშორისო წესების დარღვევაში. 1994 წელს აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლობის მდივნის, შარლენ ბარშეფსკის განცხადებით, ჩინეთი პასუხისმგებელი იყო ამერიკაში დამზადებული 1

მილიარდი დოლარის (USD) ღირებულების ვიდეოების, კომპიუტერული პროგრამებისა და მუსიკების მოპარვაზე (Gargan, 1994).

ამ პრობლემის მოუგვარებლობა იწვევდა ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესის მნიშვნელოვნად გართულებას (ამერიკას ჰქონდა ბერკეტები, ზეგავლენა მოეხდინა ჩინეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების პირობებზე) და შედეგად, ჩინეთის ბაზრის გახსნის პროცესის შენელებას, რაც არ იყოს სასურველი განვითარებული კაპიტალისტური სამყაროსთვის.

ეკონომიკური ურთერთობების გაღრმავების მიუხედავად, დიპლომატიური ურთერთობები მხარეებს შორის უფრო და უფრო უარესდებოდა. ინსტიტუციური და კონსტიტუციური ცვლილებების მიუხედავად, 1994 წლისთვის ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის მომატებული შემთხვევების გამო, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენელმა, მიკი კანტორმა განაცხადა, რომ ჩინეთიდან იმპორტირებულ 1.08 მილიარდი დოლარის (USD) ღირებულების პროდუქციას 100%-იან ტარიფს დაადებდნენ. ამან ჩინეთს მორიგი ნაბიჯი გადაადგემვინა ბაზრის გახსნისკენ. კომუნისტური პარტია დათანხმდა ორმხრივ კონსულტაციებსა და შესაბამისი ჯგუფების შექმნას, რომელიც არალეგალურ წამოწყებებს დახურავდა (Noland, 1996). ამან დადებითად იმოქმედა ჩინურ-ამერიკულ ურთერთობებზე, რაზედაც მეტყველებს ბილ კლინტონის გამოსვლა 2000 წლის 9 მაისს:

„პირველად ჩვენს კომპანიებს შეეძლება, რომ გაყიდონ და გაავრცელონ ამერიკელი მუშების მიერ დამზადებული პროდუქცია ჩინეთში, წარმოების გატანის, კომუნისტური მთავრობის გავლით გაყიდვის ან ღირებული ტექნოლოგიების გატანის გარეშე. ჩვენ შეგვეძლება პროდუქციის ექსპორტი, სამუშაო ადგილების ექსპორტის გარეშე” (C-SPAN, 2000).

მსგავსმა დამოკიდებულებამ ტენდენციური ხასიათი მიიღო და გამოვლინდა ბუშის ადმინისტრაციის დროს. 2001 წლის 1 აპრილის ჰაინანის კუნძულის ინციდენტის მიუხედავად, როდესაც ამერიკული წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავი და

ჩინური გამანადგურებელი ერთმანეთს შეეჯახნენ, ჯორჯ უოლკერ ბუში ზურგს უმაგრებდა ჩინეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში (Alfredson, 2001). მეორე მხრივ, კომუნისტურმა პარტიამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა ამერიკის ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ (Mcmillan, 2001).

## მეთოდოლოგია

მოცემული სტატია მეთოდოლოგიურად განეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას. იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას - რატომ დაიწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სავაჭრო ომი და რა შედეგები იქონია ამ ეკონომიკურმა კონფლიქტმა მხარეებზე, ნაშრომი წარმოადგენს სხვადასხვა სტატიებისა და აკადემიური ნაშრომების ანალიზს, რომელშიც წარმოჩენილია მეცნიერებებისა და ანალიტიკოსების შეფასებები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სტატიაში აგრეთვე წარმოდგენილია სხვადასხვა პირველადი წყაროები და მათი განხილვა.

სტატიის შესავალში მოცემულია სავაჭრო ომის განვითარების სცენარი და შედეგად გამოწვეული წინააღმდეგობა ამერიკელ კონგრესმენებს შორის. ძირითად ნაწილში წარმოდგენილია ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების ისტორიული ეპიზოდები, რომლებიც გვთავაზობენ სავაჭრო ომის შედეგად გამოწვეული შიდაპოლიტიკური უთანხმოების ახსნას, აგრეთვე სავაჭრო ომის პოტენციური მიზეზები, რომლებიც მყარ კავშირში იმყოფებიან ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებასთან, სახელმწიფოებს შორის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ დაპირისპირებასთან. ნაშრომის მომდევნო ნაწილებში მოცემულია ამ ომის შედეგები, კონკრეტული კომპანიების მაგალითებისა და რესურსების იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლების განხილვის სახით და სავაჭრო ომის შეფასებები სხვადასხვა მეცნიერებებისა და ანალიტიკოსების მიერ.

## სავაჭრო ომის მიზეზები

დღევანდელ სამყაროში ეკონომიკური სიძლიერე სახელმწიფოს სიძლიერის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია, მაგრამ ეკონომიკური სიმტკიცის მიღწევა გულისხმობს მეცნიერების სფეროს ხელშეწყობასაც, რომლის ერთ-ერთი შედეგიცაა ტექნოლოგიების განვითარება. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს ამერიკის ამგვარი “თავდაცვითი” ქმედებები ინტელექტუალურ საკუთრებასთან მიმართებაში. მეორე მხრივ, აშკარაა კომუნისტური პარტიის მიზანი განავითაროს ჩინეთი ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური საშუალებებით და შეინარჩუნოს თავისი კომუნისტური მმართველობის სისტემა საბაზრო ეკონომიკის ელემენტების დანერგვის პარალელურად.

2017 წლის აგვისტოში დონალდ ტრამპმა სავაჭრო წარმომადგენლობას დაავალა გამოემიებინა ჩინეთის ქმედებები ტექნოლოგიების გატანასთან და ინტელექტუალურ საკუთრებასთან მიმართებაში. 2018 წლის 22 მარტს სამთავრობო ორგანომ შემდეგი დასკვნები გამოიტანა:

1. ჩინეთი იყენებს სხვადასხვა საკანონმდებლო შეზღუდვებს (შეზღუდული ინვესტიციები, შეზღუდვები უცხოელი ინვესტორების წილზე კომპანიებში და სხვა), რათა ხელში ჩაიგდოს ან ზეგავლენა მოახდინოს ტექნოლოგიების ჩინეთში გადმოტანაზე.
2. ჩინეთის ხელისუფლება მხარს უჭერს და ზედამხედველობს ამერიკული კომპანიების კომპიუტერულ ქსელებში შეჭრას და მნიშვნელოვანი ინფორმაციის უკანონო გზით მიღებას.
3. ჩინეთი ერევა ამერიკული ფირმების ინვესტიციებსა და აქტივობებში, რაც არ აძლევს კომპანიებს იმის საშუალებას, რომ თავისით მორიგდნენ და დააწესონ ბაზარზე დაფუძნებული პირობები ტექნოლოგიების გადაცემაზე (Kwan, 2019).

ამ დასკვნაში ჩინეთის უკანონო ქმედებები იკვეთება. ის ცდილობს არაკანონიერი გზით მიაღწიოს განვითარებისა და სიძლიერის იმ დონეს, რის მიღწევასაც განვითარებულმა სახელმწიფოებმა დიდი დრო მოანდომეს. ტრამპის ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში აკრიტიკებს კომუნისტური პარტიის დასახელებულ ქმედებებს და ამერიკელთა საკუთრების დასაცავად მათ წინააღმდეგ მიდის სავაჭრო ომის წამოწყების გზით.

### **5G კავშირგაბმულობა - „ტექნოლოგიური ომი“**

მორიგი პოტენციური მიზეზი ამ დაპირისპირების წარმოშობისა შეგვიძლია დავუკავშიროთ ახალ ტექნოლოგიას - 5G კავშირგაბმულობას. 5G ინტერნეტი უდიდესი ტექნოლოგიური ინოვაციაა, რომელიც ადამიანთა ცხოვრების სტილს სამუდამოდ შეცვლის. დღეს მრავალი სახელმწიფოა ჩართული ამ ტექნოლოგიის განვითარებაში, მათგან ლიდერობს ჩინეთი, კერძოდ, Huawei-სა და ZTE-ს კომპანიები. არსებული კონკურენცია მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით:

Washington Post-ის ჟურნალისტები მაიკლ მორელი და დევიდ კრისი გამოყოფენ 5G ქსელის მნიშვნელოვან ასპექტებს:

1. 5G კავშირგაბმულობა მნიშვნელოვნად გაზრდის კომუნიკაციის სიჩქარეს, რაც საშუალებას მოგვცემს გადავცეთ წარმოდგენელი სისწრაფით დიდი რაოდენობის ინფორმაცია. შესაბამისად, ვინც აკონტროლებს ამ ქსელს, წვდომა აქვს გადაცემულ ინფორმაციასთან, რაც დიდი რისკის ქვეშ აყენებს ინდივიდთა კონფიდენციალობასა და პირად ცხოვრებას.
2. 5G კავშირგაბმულობის სისტემის გაკონტროლებამ შეიძლება საშუალება მისცეს ინდივიდს, ორგანიზაციას, ხელისუფლებას მოაწყოს საბოტაჟი თუ კიბერ-შეტევა.
3. აქტორს, რომელსაც ექნება მეტი ინფორმაცია ამ ქსელთან დაკავშირებით, ექნება უპირატესობა სხვებთან შედარებით, გაცილებით ადრე მოემზადოს კიბერუსაფრთხოების სფეროში და დაიცვას საკუთარი ეკონომიკა (Morell & Kris, 2018).

თუმცა 5G ინტერნეტის შექმნაზე არსებული კონკურენცია დაკავშირებულია სხვა ფაქტორებთანაც. მიჩნეულია, რომ აშშ-ში ამ ქსელის დამკვიდრება 3 მილიონ სამუშაო ადგილს შექმნის და ამერიკის ბიუჯეტს შეჰმატებს 500 მილიარდ დოლარს (USD) (Verma, 2019). შესაბამისად, ამ ტექნოლოგიის დამკვიდრება გარკვეულ რისკებთან ერთად, დადებითი მხარეების მატარებელია, რომლებიც გულისხმობენ ეკონომიკური და სოციალური გარემოს ხელშეწყობას.

რადგან ამ ტექნოლოგიის განვითარებაში ლიდერობს ორი ჩინური კომპანია - Huawei და ZTE, რომლებიც არა ერთხელ იყვნენ დადანაშაულებულნი აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მიერ რობო-ტექნოლოგიის მითვისებაში, 2019 წლის მაისში ტრამპის მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, რომლითაც აკრძალა ამერიკულ კომპანიებს აშშ-ს მეტოქეების საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ქსელების გამოყენება (Crabtree & et. al. 2019), ვფიქრობთ მიზნად ისახავდა ამ კომპანიების პროგრესის შეფერხებას. ამგვარი მიზანი გამომდინარეობს ამერიკის უსაფრთხოების პოლიტიკიდან, არ მისცეს საშუალება არადემოკრატიულ (კომუნისტური რეჟიმის) სახელმწიფოს, ხელში ჩაიგდოს მასობრივი ინფორმაცია და ამით მოქალაქეთა უსაფრთხოება საფრთხეში ჩააგდოს.

### **ჩინეთის გაძლიერება და ტრამპის პროტექციონისტული პოლიტიკა**

ზოგი მიიჩნევს, რომ ტრამპის ამგვარი ქმედებები მისი პროტექციონისტული პოლიტიკის ნაწილია, უბიძგოს ამერიკულ საზოგადოებას იყიდოს ადგილობრივი წარმოების პროდუქტები იმპორტირებული პროდუქციის გაძვირების ხარჯზე (BBC, 2020). ლარისა კაპუსტინა და მისი კოლეგები მიიჩნევენ, რომ სავაჭრო ომის ძირითად მიზეზებს წარმოადგენდა:

1. სავაჭრო დეფიციტის შემცირება (2017 წლის მონაცემებით, ამერიკის 796 მილიარდი დოლარის (USD) დეფიციტში ჩინეთის წილი 47% იყო);
2. ჩინეთის მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების შემცირება;

3. ჩინეთის სამხედრო სიძლიერის შესუსტება (Kapustina & et. Al, 2019).

ეს უკანასკნელი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთ საზრუნავ საკითხს. ჩინეთის, როგორც კომუნისტური წყობის მქონე ქვეყნის ამბიციის, გახდეს მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფო, რომელშიც საკუთრების უფლება და ადამიანთა ძირეული უფლებები არაა დაცული, უდავოდ დიდი რისკების მატარებელია.

მკვლევარი იუ ჰან ჟანგი თვლის, რომ ერთი მხრივ აშშ-ს მიერ სავაჭრო ომის წამოწყება და მეორე მხრივ, ჩინეთის ამ ომში ჩაბმა, არარაციონალური ქმედებაა. მისი თქმით, აშშ-ს 2 ძირითადი მიზეზი აქვს სავაჭრო ომის დასაწყებად. პირველი - ტრამპის ადმინისტრაციას სურს, წელიწადში თითქმის 500 მილიარდიანი სავაჭრო დეფიციტისა და ჩინეთის მხრიდან დამატებით ინტელექტუალური საკუთრების მოპარვით მიღებული ყოველწლიური 300 მილიარდის ზარალის აღმოფხვრა. მეორე მიზეზი კი არის ტრამპის სურვილი, შეაჩეროს ჩინეთის წინსვლა და თავიდან აირიდოს აზიური გიგანტის, როგორც ტექნოლოგიური სუპერძალის, აღზევება. ამ მხრივ აშშ-ს მთავარი სამიზნე ჩინური მანქანათმშენებლობის, ელექტრონიკისა და IT-ს სექტორია. მკვლევრის თქმით, აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი არის სტრუქტურული პრობლემა (შიდა სისტემა) და მისი პროტექციონისტული პოლიტიკით გადაჭრა ვერ მოხდება. ამერიკის ბაზარი იმდენად სანდო და მომხიბვლელია, რომ ჩინეთის გარდა, ბევრი სხვა ქვეყანაც სწორედ აშშ-ში ახდენს თავისი დანაზოგების ექსპორტს. ხოლო სავაჭრო ომის დაწყების მეორე მიზეზი, ჩინეთის ტექნოლოგიური განვითარების შეჩერება, იუ ჰან ჟანგის მათემატიკური მოდელის მიხედვით, პრაქტიკულად, შეუძლებელია (Zhang, 2018).

### **სავაჭრო ომის შეფასება მეცნიერთა და ექსპერტების მიერ**

სავაჭრო ომის შეფასებისას მკვლევრები ძირითადად თანხმდებიან ძირეულ საკითხებზე, თუმცა მათ შორის მაინც არის განსხვავებები.

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის მერი ჰუანგ ქიფანი სიამინის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას აცხადებდა, რომ ერთი შეხედვით, ამერიკული მხარის

გადაწყვეტილებები და ქცევები სავაჭრო ომთან დაკავშირებით "ქაოტური" იყო. თუმცა ის ამერიკის ნაბიჯებს რაციონალურად თვლის და სჯერა, რომ ამ ქმედებების უკან კარგად ორგანიზებული გეგმაა, რომელიც ამ შემთხვევაში ჩინეთის წინააღმდეგაა მიმართული. ქიფანი არგუმენტის გასაძლიერებლად ამბობს, რომ გეგმის განხორციელება ჯერ კიდევ 2015 წელს კონგრესის მიერ "ვაჭრობის ხელშეწყობის უფლებამოსილების" (TPA) აქტის მიღებით დაიწყო. სწორედ ამ აქტის ერთ-ერთ მუხლი საშუალებას აძლევს აშშ-ს მთავრობას გადადგას ეკონომიკურად "სადამსჯელო" ნაბიჯები იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა დეპარტამენტის მიერ „ვალუტის მანიპულატორად“ იქნება შერაცხული. ქიფანი ამბობს, რომ მთავრობას შეეძლება ასეთ ქვეყანასთან ვაჭრობის შეწყვეტა, ამერიკული ბანკებისა და ფინანსური კომპანიების ფინანსური ქმედებების შეზღუდვა (Rui, 2020).

ამერიკის მხრიდან სავაჭრო ომის დაწყებას არასწორ გადაწყვეტილებად აფასებენ ასევე "სტატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის" მკვლევრები. მათი აზრით, დიდი რისკების მიუხედავად, აშშ შედარებით მოუმზადებელი, მომავალზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენით შევიდა ამ კონფრონტაციაში. ისინი აკრიტიკებენ ვაშინგტონის გადაწყვეტილებას, რადგან ამ ზეწოლას ჩინეთის პოლიტიკისთვის ჯერ-ჯერობით არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება არ გამოუწვევია, მიღებული და მოსალოდნელი შედეგი კი მძიმეა. დაზარალდა როგორც აშშ და ჩინეთი, ასევე მსოფლიო ეკონომიკა. მივიღეთ დამაბული ურთიერთობა ორ სუპერ-ძალას შორის, რამაც მომავალში შეიძლება ცივი ომის ტიპის კონფლიქტამდე მიგვიყვანოს (Goodman & et. Al. 2019).

არარაციონალურად ასაბუთებენ აგრეთვე ჩინეთის ჩართვას დასახელებულ კონფლიქტში. ამაზე ვრცლად წერს ჰანგი კუანი. იგი ამბობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთი ეკონომიკურად უწინდელივით სწრაფად ვეღარ იზრდება, რაც ერთი ბავშვის პოლიტიკის მძიმე შედეგის - მოსახლეობის დაბერებისა და ქალაქგარე

არეგში მუშახელის შემცირების შედეგია. ამ ყველაფერს კი სავაჭრო ომი მკვეთრად ამძიმებს. ჩინეთში არსებული მულტინაციონალური კომპანიები ტარიფებისგან დამატებით ხარჯების თავის ასარიდებლად ჩინეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და სხვა რეგიონში გადადიან. აშშ-ს მთავრობის მიერ ამერიკული ტექნიკური კომპანიებისთვის ჩინეთში ვაჭრობის გამკაცრების გამო კი ჩინური მუშახელის და სხვადასხვა ინდუსტრიების პროდუქტიულობა იკლებს (Kwan, 2019).

ხედავს რა ამ ყველაფერს იუ ჰან ჟანგი, ჩინეთის მოქმედების ალტერნატიულ განვითარებას გვთავაზობს, რაც მას ამ თვითდამაზიანებელი ბრძოლისგან გადაარჩენდა. მისი აზრით, ჩინეთმა უნდა გაატაროს რეფორმები, რომლებიც განაპირობებენ სრულ სოციალურ უსაფრთხოებას და მოახდინოს ბაზრის ლიბერალიზაცია, რათა რიგით მოქალაქეებს შეეძლოთ ინვესტირება „ლიკვიდურ აქტივებში“ (Zhang, 2018).

მკვლევარი იგივეს ამბობს აშშ-ზე, იმის მიუხედავად, რომ იგი ემხრობა მოსაზრებას, რომ აშშ-მ სავაჭრო ომი სავაჭრო დეფიციტის აღმოფხვრაზე უფრო, ჩინეთის აღმავლობის შესაჩერებლად დაიწყო. ეს კრიტიკა კი ისევ ეკონომიკური ასპექტებიდან გამომდინარეობს. იგი განმარტავს, რომ ჩინეთი, გარდა იმისა, რომ მსოფლიოში მეორე ყველაზე დიდი ეკონომიკა აქვს, არის წარმოებისთვის საჭირო საქონლის ყველაზე იაფი მიმწოდებელი აშშ-სთვის.

დონალდ ტრამპის მიერ დაწესებული ტარიფების შედეგად დამატებითი ღირებულებებისგან თავის ასარიდებლად ამერიკულ კომპანიებს უწევთ სხვა მიმწოდებლების მოძებნა, რომლებიც იმაზე იაფ ნედლეულს მაინც ვერ სთავაზობენ, რასაც ჩინეთი უწინ სთავაზობდა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ, ამავდროულად, სავაჭრო ომის პირობები აიძულებს ამერიკულ კომპანიებს ჩინური ბაზრიდან გავიდნენ, რაც თავის მხრივ ზემოქმედების ბერკეტს აკარგვინებს ვაშინგტონს (Kwan, 2019).

## სავაჭრო ომის შედეგები

### ამერიკის შეერთებული შტატები

როგორც აკადემიკოსების შეფასებებში გამოჩნდა, სავაჭრო ომი ეკონომიკური თვალსაზრისით ორივე მხარისთვის დამაზარალებელია, თუმცა ამ მხრივ, აშშ-ს ზარალი, ჩინეთთან შედარებით, უფრო დიდია.

დიდი ზარალი ნახეს ამერიკულმა მულტინაციონალურმა კომპანიებმა. ტარიფების სახით დამატებითი ღირებულების გადახდა უწევთ მათ, ვისაც ჩინეთიდან, აქამდე ნედლეულის ერთ-ერთ ყველაზე იაფ მომწოდებლისგან, შემოაქვთ პროდუქციისთვის საჭირო მასალა. ტარიფებს იხდიან ასევე ისინი, რომლებსაც გასაღების ბაზარი ჩინეთში აქვთ. და ბოლოს, უამრავია ისეთი კომპანია, რომლებიც ორმაგად ზარდაღდებიან - ჩინეთიდან შემოაქვთ კაპიტალური წარმოების საშუალებები, აწარმოებენ და პროდუქტი კვლავ ჩინეთში გააქვთ გასაყიდად. ამ დროს კომპანია რამდენიმე ვარიანტის წინაშე დგება:

1. იპოვოს სხვა მიმწოდებელი, რაც უთუოდ, პირვანდელზე უფრო ძვირი დაჯდება და ყველაფერთან ერთად მას ნაკლებად კონკურენტუნარიანს გახდის;
2. წავიდეს ზარალში ან გადაიტანოს თავისი საწარმოები სხვა ქვეყანაში.

ზემოჩამოთვლილი ვარიანტები წამგებიანია სახელმწიფოსა და მოქალაქეებისათვის (Pencea, 2018).

ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს, რაც დაგვეხმარება სიტუაციის უკეთ ვიზუალიზაციაში. "Mid Continental Nails Corporation", აშშ-ში ლურსმნების ყველაზე ფართო მწარმოებელი კომპანია, ბანკროტის პირასაა ფოლადზე დაწესებული ტარიფების გამო. ჩინეთზე, ევროკავშირზე, კანადასა და მექსიკაზე დაწესებული ტარიფების გამო კომპანია თავის 500 თანამშრომლიდან 200-ს დაემშვიდობა (Moirangthem, 2018).

ფოლადსა და ალუმინზე დაწესებულმა ტარიფებმა ძალიან დააზარალა ასევე საავტომობილო და მოტო ინდუსტრია. ამერიკული მოტოციკლეტის მწარმოებელი კომპანიის, Harley Davidson-ის აღმასრულებელი დირექტორი მეთ ლავიტჩი ამბობს, რომ მათ წარმოება ახლა ყოველწლიურად 100-120 მილიარდი დოლარით მეტი უჯდებათ. შედეგად, დაანონსდა ფაბრიკა-ქარხნების სხვა ქვეყნებში გადატანა (ტაილანდი, ევროკავშირის სახელმწიფოები და სხვა) (Nakayama, 2019).

ჩინეთთან მიმართებით პროტექციონისტული პოლიტიკით დაზარდდნენ ასევე ამერიკული მანქანათმწარმოებელი კომპანიები - General Motors და Ford Mustang, რომელთათვისაც მსხვილი გასაღების ბაზარია ჩინეთი (General Motors უფრო მეტ ავტომობილს ყიდის ჩინეთის ტერიტორიაზე, ვიდრე აშშ-ში) (Pencea, 2018). Ford Mustang მანქანების ასაწყობად საჭირო კომპონენტების 49% საზღვარგარეთიდან მოდის. კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა დაანონსა, რომ ახალი Ford Mustang Mach ჩინეთსა და მექსიკაში აიწყობა, მიზეზად კი კვლავ სავაჭრო ომის შედეგად გართულებული პირობები დაასახელა (Mihalascu, 2019).

აშშ-მა ზარალი ნახა ასევე თხევადი ბუნებრი გაზის (LNG) ექსპორტის თვალსაზრისითაც. ჩინეთი არის ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მზარდი მოთხოვნა აქვს თხევად გაზზე, ხოლო აშშ ამ ენერგეტიკული რესურსის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპორტიორია. შესაბამისად, ჩინეთის წილი აშშ-ს თხევადი გაზის ექსპორტში საკმაოდ დიდი იყო (და არის). პრეზიდენტმა, სი ძინპინმა, ჯერ 10%-იანი, ხოლო შემდეგ 25%-იანი ტარიფები დაადო ამერიკულ LNG-ს და შედეგად ამერიკული ექსპორტი დავარდა (Forbes, 2019). 2018 წლის პირველ ნახევარში, ტარიფების შეცვლამდე აშშ-ის პორტებიდან ჩინეთის მიმართულებით თხევადი ბუნებრივი გაზით დატვირთული 18 ტანკერი გაემგზავრა, ხოლო წლის მეორე ნახევარში, (ტარიფების შეცვლის შემდეგ) ეს რიცხვი განახევრდა (Reuters, 2019).

სავაჭრო ომი დამაზიანებელი იყო ამერიკული მეურნეობისათვის. სოიოს მარცვლებზე დაწესებულმა ტარიფებმა მნიშვნელოვნად დააზარალა ამერიკელი

ფერმერები. ეკონომიკური კონფრონტაციის დაწყებამდე აშშ-ის სოიოს მარცვლების ექსპორტის 60% ჩინეთზე მოდიოდა. 2018 წელს სოიოს ექსპორტმა 30 მილიონი ტონა შეადგინა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ დაწესებული ტარიფების შედეგად კი, 2019 წელს ეს მაჩვენებელი წინა წლის მესამედი გახდა. სოიოს მარცვლების საექსპორტო საბჭოს ხელმძღვანელი, ჯიმ შათერი განმარტავს, რომ აშშ აპირებს ჩინური გასაღების ბაზრი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიით, ეგვიპტით, ბანგლადეშითა და პაკისტანით ჩაანაცვლოს, მაგრამ მისი თქმით, ამის გაკეთებას დრო სჭირდება, მანამდე კი ამერიკელები ზარალდებიან (CNBC, 2019).

და ბოლოს, "Rust-Belt" ქარხნები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ - მათ ტარიფების გამო, უფრო და უფრო მეტის გადახდა უწევთ ნედლეულის შესაძენად. შედეგად კი 2018 წელს დასაქმების დონის გაზრდის შემდეგ, 2019-ში საწარმოო სამუშაოები 4.2%-ით შემცირდა, რაც დაახლოებით 26 800 სამუშაო ადგილია<sup>1</sup> (Politi, 2019).

### **შედეგები ჩინეთისთვის**

სავაჭრო ომის შედეგები ჩინეთისთვის დამაზიანებელი იყო, თუმცა, როგორც ითქვა, არა იმდენად, როგორ აშშ-ისათვის. ლავლისა და იანგის კვლევის (2018) თანახმად, იმ კომპანიათაგან, რომლებზეც სავაჭრო ომი ნეგატიურ გავლენას ახდენს, მხოლოდ 13%-ია ჩინური (Pencea, 2018, p. 290).

სავაჭრო ომი ჩინეთის მშპ-ს ზრდის ტემპის შემცირების ერთ-ერთ გამომწვევი ფაქტორია. 2018-19 წლებში ჩინეთის მშპ-ს ზრდა 3 დეკადის განმავლობაში ყველაზე მცირე იყო. 2018 წელს მან 6,6% შეადგინა, ხოლო 2019-ში უფრო ნაკლები, დაახლოებით 6,0% იყო (Trading Economics, 2020). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 40 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი ნეგატიური არასდროს არ გამხდარა და ამის მიზეზი სახელმწიფოს მიერ კომპანიების საქმიანობაში ჩარევა და დახმარებებია (Pencea, 2018).

---

<sup>1</sup> არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ სწორედ "Rust-Belt" ის შტატებში დონალდ ტრამპმა სულ მცირედით აჯობა ჰილარი კლინტონს და საბოლოოდ, ეს იყო მისთვის გამარჯვების მომტანი.

ჩინური კომპანიები, იქნება ეს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი, თუ კერძო ტრანსნაციონალურები, სარგებლობენ ჩინეთის კომუნისტური პარტიისგან კომფორტული პირობებით, სუბსიდიებით და სხვადასხვა დახმარებებით. შედეგად ისეთ მსხვილ მაგნატებს, როგორებიც არიან Huawei და Ali Baba სიტუაცია ძალიანაც არ გაართულებიათ (Pencea, 2018).

სახელმწიფოს ძალისხმევის მიუხედავად, მაინც დაზარალდენ ელექტრონული კომპანიები. ამის ქრესტომათიული მაგალითია კომპანია ZTE-სთვის მიკროჩიპების მიწოდების შეწყვეტა. ამის შესახებ აშშ-ს კომერციის მდივანმა, ვილბურ როსმა, 16 აპრილს განაცხადა და მიზეზად კომპანიის მიერ შეთანხმების დარღვევა და ჩრდილოეთ კორეასთან და ირანთან ვაჭრობა დაასახელა (Ross, 2018). ერთ თვეში კომპანია ბანკროტის წინაშე აღმოჩნდა.

ჩინეთში დაზარალდა ასევე წვრილი და საშუალო ბიზნესი. მათთვის სახელმწიფო ბანკებიდან სესხები ნაკლებად ხელმისაწვდომია (სახელმწიფო უფრო მსხვილ ბიზნესებზეა ორიენტირებული), რაც კონკურენტუნარიანობას აკარგვინებს. წვრილ და საშუალო ბიზნესს ასევე აზარალებს შრომის ღირებულების ზრდა (Pencea, 2018).

საბოლოო ჯამში, 2019 წელს ჩინეთის ექსპორტი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში რეკორდულად დაბალ მაჩვენებლამდე დავიდა. ექსპორტში კლება მოსალოდნელ 4,8%-ზე გაცილებით მეტი, 20,7% აღმოჩნდა. ეს მეტწილად ამერიკის მიერ დაწესებული ტარიფების შედეგია. მაგალითად, ალუმინის ექსპორტმა 7,3%-ით იკლო, ხოლო ფოლადისამ - 6,8%-ით (Trading Economics, 2020). მაგრამ ეს არაა ის შედეგი, რაც ვაშინგტონს სურდა. მიზეზი ისაა, რომ სავაჭრო ომის პოლიტიკამ დოლარის გამყარება გამოიწვია, რაც ექსპორტის ზრდისთვის გარკვეულწილად ცუდია. ხოლო ჩინური იუანი უფრო გაუფასურდა, რაც ჩინეთს ექსპორტის შენარჩუნებაში ეხმარება (Pencea, 2018).

## დასკვნა

ამრიგად, პასუხი ჩვენი საკვლევ კითხვის პირველ ნაწილზე - "თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სავაჭრო ომის დაწყება" კომპლექსურია. პირველი, ეს იყო ერთგვარი სადამსჯელო ღონისძიება ჩინეთის "არასამართლიან მოღვაწეობაზე" - ტექნოლოგიური ინფორმაციის მოპარვასა (რაც, ტრამპის თქმით, 300 მილიარდამდე ზარალს იწვევს აშშ-ს ეკონომიკისთვის) და არაკანონიერი გზებით ეკონომიკური სუპერძალის დონემდე მიღწევის სურვილზე. შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტი და დონალდ ტრამპის მიდგომა, რომლის თანახმადაც, ამას პროტექციონისტული პოლიტიკა და ტარიფები გამოასწორებენ. სავაჭრო ომის გამწვავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩინური კომპანიების მიერ 5G ინტერნეტის გავრცელებასთან დაკავშირებული შიშებია, რაც პირდაპირაა დაკავშირებული აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებასთან, ვინაიდან ჩნდება საფრთხე, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ხელი მიუწვდებოდეს უამრავი ქვეყნის სხვადასხვა ინფორმაციაზე. და ბოლოს, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის აშშ-ს სურვილი, შეაჩეროს ჩინეთი, როგორც მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მქონე ეკონომიკური სუპერძალა, რომელიც პოტენციური ჩელენჯერია მისთვის და დიდ საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიული სამყაროსთვის.

რაც შეეხება შედეგებს, ჩვენ ვიხილეთ, რომ აშშ და მისი კომპანიები უფრო დაზარალდნენ, ვიდრე ჩინური მხარე. უამრავ ამერიკულ სამეწარმეო კორპორაციას ან ზარალში წასვლა მოუწია ან წარმოების ადგილის შეცვლა, რამაც ზიანი მიაყენა მთლიანად ეკონომიკას. თუმცა ვაშინგტონის მხრიდან ამას უკან დახევა არ გამოუწვევია, რაც ისევ და ისევ ჩინეთის დასუსტების დიდი სურვილით შეიძლება აიხსნას. თუმცა, ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ აშშ-ს მხრიდან დიდი ძალისხმევითა და გარკვეული ეკონომიკური ზიანის მიუხედავად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გადახდილი ეკონომიკური ფასი კონკურენტისაზე უფრო ნაკლებია. აშშ-ს მიერ ეკონომიკური შეზღუდვების გამო დაზარალდა ჩინეთის ტექნოლოგიური სექტორი,

ისეთი კომპანიები როგორცაა ZTE და Huawei. აზიურ გიგანტს 2018-19 წლებში უკანასკნელი 3 დეკადის განმავლობაში ყველაზე დაბალი ეკონომიკური ზრდა, 6,6% და 6,0% ჰქონდათ. თუმცა ლავლისა და იანგის კვლევამ აჩვენა, რომ სავაჭრო ომით დაზარალებული კომპანიებისგან მხოლოდ 13%-ია ჩინური.

### ბიბლიოგრაფია:

Alfredson, K. (April 6, 2001). *Bush backs China's WTO entry despite standoff*. CNN. USA. Retrieved on June 11, 2020.

<https://web.archive.org/web/20110515133508/http://edition.cnn.com/2001/WORLD/asiapcf/east/04/05/china.WTO/>

BBC. (January 16, 2020). A quick guide to the US-China trade war. Retrieved on 13 June, 2020.

<https://www.bbc.com/news/business-45899310>

CNBC. (August 7, 2019). *US soybean farmers are working new markets now that exports to China have tanked*. (H. Tan, Editor). Retrieved on June 15, 2020.

<https://www.cnbc.com/2019/08/08/us-china-trade-war-soybean-farmers-are-working-new-markets.html>

Crabtree, J., Wang, J., Jie, Y. & Schneider-Petsinger, M. (November, 2019). *US-China Strategic Competition The Quest for Global Technological Leadership*. The Royal Institute of International Affairs. London, UK. pp 8-9.

<https://www.chathamhouse.org/sites/default/files/publications/research/CHHJ7480-US-China-Competition-RP-WEB.pdf>

C-SPAN. (March 8, 2000). *Permanent Normal Trade Relations with China*. Video 19:40.

<https://www.c-span.org/video/?155905-1/permanent-normal-trade-relations-china>

DiSavino, S. (May 10, 2019). *Trade war cuts U.S. liquefied natural gas exports to China*. Reuters. (Rigby, B. Editor). Retrieved June 13, 2020

<https://www.reuters.com/article/us-usa-trade-china-lng/trade-war-cuts-u-s-liquefied-natural-gas-exports-to-china-idUSKCN1SG1YU>

Forbes. (2019, 0506 23). *Escalating U.S.-China Trade War Makes LNG Projects Vulnerable Stateside*. Retrieved June 15, 2020.

<https://www.forbes.com/sites/gauravsharma/2019/05/23/escalating-us-china-trade-war-leaves-lng-projects-vulnerable-stateside/#1237bca02d52>

Gargan, E. A. (July 24, 1994). *U.S. May Thwart China's Trade Goal*. The New York Times. New York, USA. Retrieved on 11 June, 2020.

<https://www.nytimes.com/1994/07/24/world/us-may-thwart-china-s-trade-goal.html?searchResultPosition=1>

Goodman, M. P., Gerstel, D. & Risberg, P. (September 25, 2019). *CSIS Brief: Beyond the Brink: Escalation and Conflict in U.S.-China Economic Relations*. Center for Strategic & International Studies.

<https://www.csis.org/analysis/csis-brief-beyond-brink-escalation-and-conflict-us-china-economic-relations>

Higgins, S. (August 1, 2019). *Trump's China tariff hike draws mixed reception from lawmakers*. Washington Examiner. Washington D.C., USA. Retrieved on 12 June, 2020.

<https://www.washingtonexaminer.com/policy/economy/trumps-china-tariff-hike-draws-mixed-reception-from-lawmakers>

Kapustina, L., Lipkova, L., Silin, Y. & Drevalov, A. (2019). *US-China Trade War: Causes and Outcomes*. The institute of Education Sciences. pp 5-6.

[https://www.shs-conferences.org/articles/shsconf/pdf/2020/01/shsconf\\_ies\\_2019\\_01012.pdf](https://www.shs-conferences.org/articles/shsconf/pdf/2020/01/shsconf_ies_2019_01012.pdf)

Kent, A. E. (2001). *States Monitoring States: The United States, Australia, and China's Human Rights, 1990–2001*. Johns Hopkins University Press. pp 589.

<https://olemiss.edu/courses/pol324/kentanne.pdf>

Kwan, C. H. (September 16, 2019). *The China–US Trade War: Deep-Rooted Causes, Shifting Focus and Uncertain Prospects*. Wiley Online Library. Pp 56-68.

<https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/aepr.12284>McMillan, A. F. (October 22, 2001). *APEC unites against terror*. CNN. Retrieved on June 11, 2020.

<https://edition.cnn.com/2001/WORLD/asiapcf/east/10/21/apec.finalstatement/index.html>

Mihalascu, D. (November 27, 2019). *Ford Mustang Mach-E Could Be Made In China Too If Trade War Continues*. Retrieved on June 14, 2020, from carscoops:

<https://www.carscoops.com/2019/11/ford-mustang-mach-e-could-be-made-in-china-too-if-trade-war-continues/>

Moirangthem, S. (October 16, 2018). *Trump Trade War - Mid Continent Nail facing closure over tariffs*. Retrieved on June 13, 2020, from steelguru:

<https://steelguru.com/steel/trump-trade-war-mid-continent-nail-facing-closure-over-tariffs/523502>

Morell, M. & Kris, D. (December 15, 2018). *It's not a trade war with China. It's a tech war*. The Washinton Post. Washington, D.C., USA. Retrieved on June 12, 2020.

[https://www.washingtonpost.com/opinions/its-not-a-trade-war-with-china-its-a-tech-war/2018/12/14/ec20468e-ffc5-11e8-862a-b6a6f3ce8199\\_story.html](https://www.washingtonpost.com/opinions/its-not-a-trade-war-with-china-its-a-tech-war/2018/12/14/ec20468e-ffc5-11e8-862a-b6a6f3ce8199_story.html)

Nakayama, S. (April 24, 2019). *Harley-Davidson shifts base for China exports to Thailand*. Retrieved June 12, 2020, from Nikkei Asian Review:

<https://asia.nikkei.com/Economy/Trade-war/Harley-Davidson-shifts-base-for-China-exports-to-Thailand>

Noland, M. (January, 1996). *US-China Economic Relations*. Peterson Institute For International Economics. Washington, D.C., USA.

<https://www.piie.com/publications/working-papers/us-china-economic-relations>

Pencea, S. (September 13, 2018). *The Looming USA-China Trade War and Its Consequences*. (GLOBAL ECONOMIC OBSERVER). pp. 290-293. Retrieved on June 12, 2020, from globeco:

[http://www.globeco.ro/wp-content/uploads/vol/GEO\\_Vol\\_7\\_No\\_1.pdf#page=283](http://www.globeco.ro/wp-content/uploads/vol/GEO_Vol_7_No_1.pdf#page=283)

Politi, J. (Decemeber 1, 2019). *Donald Trump's struggle to revive the US rust-belt*. Financial Times. Retrieved 14 June, 2020.

<https://www.ft.com/content/2b54296a-1073-11ea-a7e6-62bf4f9e548a>

Ross, W. L. (April 16, 2018). *Secretary Ross Announces Activation of ZTE Denial Order in Response to Repeated False Statements to the U.S. Government*. Retrieved June 12, 2020, from U.S. Departamant of Commerce:

<https://www.commerce.gov/news/press-releases/2018/04/secretary-ross-announces-activation-zte-denial-order-response-repeated>

Rui, G. (June 12, 2020). *US is waging financial war to stop China's rise, says veteran politician*. Retrieved on June 12, 2020, from South China Morning Post:

<https://www.scmp.com/news/china/diplomacy/article/3088684/us-waging-financial-war-stop-chinas-rise-says-veteran>

Swanson, A. (July 5, 2018). *Trump's Trade War With China Is Officially Underway*. The New York Times. New York, USA. Retrieved on June 13, 2020.

<https://www.nytimes.com/2018/07/05/business/china-us-trade-war-trump-tariffs.html>

Trading Economics. (2020). *China Exports*. Retrieved on 15 June, 2020, from

<https://tradingeconomics.com/china/exports>

Trading Economics. (2020). *China GDP Annual Growth Rate*. Retrieved on June 15, 2020, from

<https://tradingeconomics.com/china/gdp-growth-annual>

Verma, U. (September 26, 2019). *5G Rollout To Create 3 Million New Jobs, Adding \$500 Billion To The US Economy*. Connected Real Estate Magazine. Retrieved on 13 June, 2020.

<https://connectedremag.com/das-in-building-wireless/5g-rollout-to-create-3-million-new-jobs-adding-500-billion-to-the-us-economy/>

Zhang, Y. (2018). The US-China Trade War: A Political and Economic Analysis. *Indian Journal of Asian Affairs*. pp. 56-64. Retrieved on June 14, 2020, from JSTOR”

[https://www.jstor.org/stable/26608823?seq=1#metadata\\_info\\_tab\\_contents](https://www.jstor.org/stable/26608823?seq=1#metadata_info_tab_contents)